# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 სექტემბერი 2005 №216 (2539) ფასი 50 თეთრი


# ფედერაციას ფერო წაუვიდა

## ვისი ბრალია დინამომ ვიტ ჯორჯიასთან რომ წააგო?

სააქციო საზოგადოება „ფერო“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპონსორი აღარაა — ასეთი განცხადება გააკეთა „ზესტაფონის“ პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძემ.
მოგეხსენებათ, ფედერაციის სათავეში ნოდარ ახალკაცის მოსვლისთანავე დაიწყო საუბარი, რომ „ფერო“ „ზესტაფონის“ ლობისტია, იმერულ კლუბს მისით უდგას სული და ამ სეზონში ჩემპიონი უნდა გახადოსო...
ფუტკარაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ფერო ეჭვებმა დაღალა. ძალიან რთულია ასეთ ბრალდებებს ყური მიაჩვიო. შავი პიარკომპანია და კრიტიკა იოლია, მაგრამ მას დასაბუთება სჭირდება. ჰოდა, ეჭვების გაქრობის მიზნით, „ფეროს“ აქციონერებმა ფედერაციასთან სასპონსორო ხელშეკრულება გაწყვიტეს. ოფიციალურად ეს რამდენიმე დღეში გაფორმდება“.
ეს ინფორმაცია გუშინდელი „ბორჯომი“ — „ზესტაფონის“ ნამატჩევს გაცხადდა, სადაც თემურ მახარაძე გაცხარებული ლაპარაკობდა, „დინამომ“ რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ წააგო, თურმე ესეც ჩვენი ბრალი ყოფილა, ყელში ამოვიდა ამდენი უსაგნო ბრალდებაო...



ილია კოკაიას (მარცხნივ) და ნოდარ ახალკაცის თანამშრომლობა ბუბა ტყავაძისა (შუაში) და „დინამოს“ ინიციატივამ შეწყვიტა

# ამერი თასის მეთექვსმეტედში ჩაჯდა

**მერვედფინალში ითამაშებენ**

დინამო
ტორპედო
ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია
თბილისი
სოხუმი
კოლხეთი
სპარტაკი
გაგრა
ბორჯომი
ბათუმი
სიონი
ჩიხურა
ზესტაფონი
მესხეთი
ამერი



მეშახტე — ამერი 1:4. თბილისელი სულიკო დავითაშვილი ჰეთ ტრიქით გამოირჩა




3

*ვლადიკავკაზის „ალანიამ" რუსული პრემიერლიგის წინა ტურში ყაზანში 2:4 წააგო ლაშა სალუქვაძისა და გიორგი ქინქლაძის „რუბინთან". ცნობილი მიზეზების გამო ამ თამაშში ქართველთაგან მხოლოდ გიორგი დემეტრაძემ ითამაშა, ისიც შეცვლაზე. ამბობენ, „დემეც" მალე დატოვებს ოსურ კლუბსო, თუმცა ჩვენიანი ამაზე ჯერ არ ლაპარაკობს.*

*გიორგი რუს ჟურნალისტს ესაუბრა, სადაც ექვსი ალანიელი ქართველის ტრანსფერზე დაყენების თაობაზე არაფერს ამბობს — მათთან კონტაქტის საშუალება თითქმის არ მეძლევა, დუბლებში ვარჯიშობენ და რატომ მოხდა ეს გაუგებრობა, არ ვიციო...*



# ექვსი ქართველისა არაფერი ვიცი

## დემე ოჯახზე და მარტოობაზე

„ვლადიკავკაზში ჩემი კარიერის საუკეთესო წლები გავატარე. მიჩვეული ვარ ქალაქს, ხალხს, გულშემატკივრებს. წინადადებები მქონდა საბერძნეთის და გერმანიის კლუბებიდან, მაგრამ „ალანია" ვარჩიე. საქართველოს ჩემპიონატზე ლაპარაკიც არაა — იქ ცუდი პირობებია, დონეც დაბალია, მინდვრები არაა, გუნდები სუსტები არიან. არადა, კარგი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და აქედან მოდის ყველა უბედურება" — ამბობს დემეტრაძე.

ქართველი თავდამსხმელი „ალანიას" წაგებათა სერიას შეუთამაშებლობას აბრალებს, გუნდში ათი ფეხბურთელი რომ მოდის და ამდენივე მიდის, წარმატების მიღწევა ძნელიაო. რაც შეეხება ოსთა თავკაც იცხაკ შუმს, გიორგი მასზე აუგს არ ამბობს, ნორმალური მწვრთნელი და სასიამოვნო პიროვნებააო.

„დემეს" დონეცკის „მეტალურგში" თამაშისას „კრივბასის" მწვრთნელ კოსევიჩთან მომხდარი კონფლიქტიც გაახსენეს. მაშინ ქართველს 5000-დოლარიანი ჯარიმა აჰკიდეს კოსევიჩის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

„ის მეტოქის მწვრთნელი იყო, სათადარიგო სკამზე ვიჯექი, ჩვენებმა გოლი გაიტანეს და ამას მოჰყვა ჩხუბი კოსევიჩთან. ვიმეორებ, ეს მეტოქესთან, თორემ თანაგუნდელთან და ახლობელთან არასოდეს მქონია პრობლემა. საერთოდ კი, თავშეკავებული ადამიანი ვარ".

ჟურნალისტი გიორგის პირადული ამბებითაც დაინტერესდა — მეგობარი გოგონა კი გეყოლებათ, მაგრამ დაოჯახებას რატომ აგვიანებთო... „დემე" კარტებს არ ხსნის, ოღონდ, იმას კი ამხელს, მამაჩემს შვილიშვილი ძალიან უნდა და ვინ იცის, მომავალ წელს ვიქორწინო კიდეცო.

„ლამაზი გოგონების მეტი რა არის, შერჩეულიც მყავს, მაგრამ წინადადება ჯერ არ შემითავაზებია და ვნახოთ. თითქმის მივეჩვიე მარტოხელა ცხოვრებას, არადა, ასაკი მემატება და მემატება".

# ირაკლი ბერაიამ ნავთობი ააფეთქა

**გაგიგონიათ,** იტალიელები ან ესპანელები კვიპროსის ჩემპიონატს აშუქებდნენ? არა, ამხელა განსხვავება როდია საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონატებს შორის, მეტიც, საერთოდ, ჩვენი სჯობია თუ არა, ეგეც საკითხავია, მაგრამ... რა ვუყოთ, რომ აზერბაიჯანში ბლომად ქართველები თამაშობენ, მათი ამბავი მოსაკითხი გვაქვს და დავიწყოთ...

ჩვენმა მეზობლებმა მეხუთე ტური ჩაამთავრეს და ტურის საუკეთესო ფეხბურთელი ბევრი გულშემატკივრისთვის უცნობი ქართველი გახდა — „გიანჯას" ფორვარდმა ირაკლი ბერაიამ ჩემპიონ ბაქოს „ნეფთჩის" სტუმრად ორი გოლი გაუტანა და სენსაციური გამარჯვება მოუტანა თავისიანებს.

მენავთობეები მოლდოველმა ვადიმ ბორეცმა კი დააწინაურა, მაგრამ ბერაიამ ჯერ 30-ე წუთზე ცაციათი გაათანაბრა, 72-ზე კი ბაქოელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა და დუბლიც გაიფორმა. „ნეფთჩის" ქართველებს — ვალერი აბრამიძესა და გიორგი ადამიას — მაინცდამაინც ყოჩაღად არ უბურთავიათ. ეგაა, ადამიამ ერთი ასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა, ერთხელაც ბოლო წუთებზე საჯარიმოდან ძელს შეაწყვიტა ბურთი.

„ნეფთჩი" 10 ქულით მეხუთე ადგილზეა, ლიდერი კი თენგიზ სიჭინავას, ზაზა ლაცაბიძისა და ზაზა მეღვევის 13-ქულიანი „თურანია", რომელმაც შინ „მტკ-არაზს" 3:1 მოუგო. ეტყობა, სიჭინავას აზერბაიჯანული პასპორტი მოუხდა — 20-25 მეტრიდან გაიტანა გოლი.

„თურანს" ერთი ქულით ჩამორჩება ალექსანდრე გოგობერიშვილის „ბაკი". დედაქალაქელებმა აუტსაიდერ „გეიაზანს" 3:0 გადაუხადეს ფერნანდო პერესის დუბლისა და ლეანდროს კინკილა გოლის წყალობით. თავად გოგობერიშვილმა კი 90 წუთი ითამაშა და საგოლე პასი მიითვალა.

ლექსო ინწკირველის „კარვანმა" სენეგალელი იაკუბუ ბამბას ეული გოლით „ყარაბაღს" სძლია და მეექვსე ადგილზე აინაცვლა და სხვა „ქართული" გუნდების დარად ისიც ჩემპიონობაზე იქაჩება.

**ილია ნანობაშვილი**

# სვანაძე დინამო 2-შია და ფორმას ელის

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი რამაზ სვანაძე თბილისის „დინამო 2"-ში ვარჯიშობს — ფეხის ტრავმის გამო კარგა ხნის უთამაშებელმა ფორმა უნდა აღიდგინოს.

— საბედნიეროდ, ტრავმა საბოლოოდ მოვირჩინე. უკვე თვენახევარია, „დინამო 2"-ში ვვარჯიშობ. კლუბის ხელმძღვანელობას ვთხოვე და მათაც ნება დამრთეს — გვითხრა რამაზ სვანაძემ.

სვანაძემ ტრავმა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ მიიღო, როცა „ლოკომოტივში" თამაშობდა და მას მერე უქმად იყო.

რამაზს ისიც ვკითხეთ, მისი დილმის ბაზაზე ვარჯიში „დინამოს" მთავარ გუნდში გადასვლასაც ხომ არ ნიშნავს, რაზეც ფეხბურთელმა გვიპასუხა: „ამის თაობაზე ჯერ ლაპარაკიც არ ყოფილა. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. სასურველ



ფორმას რაც უფრო მალე აღვიდგენ, მით უკეთესი. მერე კი ვნახოთ, რა როგორ იქნება".

**გიორგი ვაშაძიძე**

## ინგლისი

I ლიგა. IX ტური
ნოტინგემი 3:1 ბრისტოლი
კონფერენსლიგა. VIII ტური
აკრინგტონი 3:2 ალდერშოტი
ალტრინხემი 1:1 სკარბორო
ბარტონი 0:4 მორიკომბი
ფორესტ გრინი 2:2 ქროული
გრეისი 5:3 კემბრიჯი
ჰერეფორდი 1:1 გრეივსენდი
კიდერმინსტერი 0:1 ჰალიფაქსი
საუთპორტი 1:1 ტემუორთი
სტივენიჯი 2:0 ექსეტერი
უოკინგი 1:1 კონვეი
იორკი 1:1 დაგენემი
კარლინგის თასი. I ეტაპი
ბარნეტი 2:1 პლიმუთი
ბარნლი 3:0 ბარნსლი
ჯილინგემი 2:2 პორტსმუთი 3:2 დდ
კარდიფი 2:1 მაკლსფილდი
ლესტერი 2:1 ბლეკპული
გრიმსბი 1:0 ტოტენჰემი
მინსფილდი 1:0 საუთჰემპტონი
ნორვიჩი 2:0 ნორთჰემპტონი
როტერჰემი 0:2 ლიდსი
უენსდი 2:4 ვესტ ჰემი
სკანთორპი 0:2 ბირმინგემი
შრიუსბერი 0:0 შეფილდი 3:4 პენ.
სანდერლენდი 0:0 ჩელტენემი 1:0 დ.დ
უოტფორდი 1:1 ვულვზი 2:1 დ.დ
ვესტ ბრომვიჩი 4:1 ბრედფორდი
უიგანი 1:0 ბორნმუთი
უიკომბი 3:8 ასტონ ვილა
იოვილი 1:2 მილუოლი
ჩარლტონი 3:1 ჰარტლპული
კრ პალასი 1:0 ქოვენთრი
რედინგი 1:0 ლუტონი

## ბელგია

იუპილერლიგა. VII ტური
შარლერუა 0:1 სინტ ტრუიდენი
გენტი 2:1 ბრიუსელი

## საფრანგეთი

ლიგის თასი
I ეტაპი
შატორუ 0:0 ბრესტი 1:0 დ.დ
კლერმონი 2:1 ისტრი
ანჟერი 2:3 ლავალი
გენიონი 0:0 ამიენი 1:1 დ.დ 4:5 პენ
დიჟონი 2:1 ბასტია
გინგამი 3:1 სეტი
მონპელიე 1:1 კრეტეი 6:5 პენ
რეიმსი 0:1 ლე ავრი
ვალანსი 0:3 ლორიანი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. IX ტური
ლოკარნო 1:1 ვადუცი

## იტალია

სერია B. V ტური
ალბინოლეფე 0:0 მოდენა
ბრეშა 0:0 არეცო
აველინო 1:1 ბარი
ბოლონია 2:1 პიაჩენცა
კატანძარო 1:0 პესკარა
კატანია 4:1 ატალანტა
ტორინო 0:0 კროტონე
ვიჩენცა 0:1 მანტოვა
ტერნანა 0:3 ჩეზენა

## გერმანია

ბუნდესლიგა. VI ტური
დორტმუნდი 2:0 არმინია
აინტრახტი 0:1 ბაიერნი
ჰანოვერი 2:4 ვოლფსბურგი
გლადბახი 2:1 ვერდერი
II ბუნდესლიგა. VI ტური
ბოხუმი 1:0 დინამო დრ.
კარლსრუე 1:0 უნტერჰახინგი
მიუნხენი 0:1 ფრაიბურგი
ბრაუნშვაიგი 2:0 ოფენბახი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
X ტური
ზტ. პაული 1:0 მიუნსტერი
სამხრეთ რეგიონალლიგა
VIII ტური
კიკერსი 1:0 ჰოფენჰაიმი
ლაუტერნი (მ) 1:0 შტუტგარტი (მ)

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XI ტური
შტურმი 2:2 რაპიდი
II დივიზიონი. XII ტური
ალტახი 3:1 კაფენბერგი
აუსტრია (მ) 2:0 კერნტენი
ლინცერი 0:0 აუსტრია (ლ)
ლეობენი 4:1 გრატკორნი
შვანენშტადტი 2:1 კუფშტაინი

## შოტლანდია

თასი. I ეტაპი
ინვერნესი 2:0 დანდი იუნ.
რეინჯერსი 2:2 კლაიდი 5:2 დ.დ
კილმარნოკი 3:4 დანფერმლაინი
სტ. მირენი 0:0 მოზერუელი 0:2 დდ
სტრანრაერი 0:2 აბერდინი

## სლოვაკეთი

I ლიგა. X ტური
დუბნიცა 1:1 პუხოვი
ნიტრა 0:2 ჟილინა
ინტერი 0:3 რუჟომბეროკი
ტრენჩინი 2:1 ბ ბისტრიცა
ტრნავა 1:3 პეტრჟალკა

## შვედეთი

ალსვენსკა. XXII ტური
მალმიო 2:0 ჰელსინგბორგი


# განცხადება

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია" ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.
რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.
გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — პირველი წრე 6 ტური



ასე გაიტანა თორნიკე აფციაურმა (№22) ზურაბ ქვაჩახიას

# სამი მწამს, ნული მაკვირვებს

## ზესტაფონს მცხეთაში მოუგია?

**ილია ნანობაშვილი**

**რევაზ გეწაძის** ჩქარი გარღვევები, თორნიკე აფციაურის უნაკლო „პოდ სებიები", კინკილა გოლი, აქეთ-იქით ხარიხას შეწყვეტილი ბურთები და ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა... — ასეთი თამაში იყო გუშინ ისანში და სხვანაირი რატომ უნდა ყოფილიყო, როცა ამბიციური, სოლიდური შემადგენლობით დაკომპლექტებული და, რაც მთავარია, ლიდერთა მარაქაში მყოფი გუნდები ერკინებოდნენ ერთმანეთს. შედეგიც, ვინც რა უნდა თქვას, ლოგიკურია: „ბორჯომი" იმერლებზე ჯიგრიანად, სწრაფ ტემპში თამაშობდა, თუმცა ეს პირველ ტაიმზე უფრო ითქმის.

ბექა გოცირიძე და გია იმედაძე თავდასხმაში, გოგი ფიფიაც სადღაც მათ შორიახლოს — თემურ მახარაძეს უფრო „დაცვითი სქემის მხაზავად" ვიცნობდით და სტუმრად შემტევი მოდელის არჩევა სიურპრიზად გვეჩვენა. თუმცა სქემა სქემად, უშუალოდ თამაშში კი „ზესტაფონს" შეტევაზე დაგეშვისა არაფერი ეტყობოდა — მაგალითად, „ბორჯომის" თავკაცმა სოსო ფრუიძემ წინა ხაზზე ოდენ გიორგი ქორიძე დააყენა, მაგრამ გუნდის შემტევი პოტენციალი სულაც არ დაუსუსტებია.

საწყის 25 წუთში ყველაზე საინტერესო მომენტი ძალლის მინდორზე შესეირნება იყო, თორემ არცერთ კართან ხიფათი არ შექმნილა — ბრძოლა იყო ყოველ გოჯზე, ოღონდ, ერთთავად „ზესტაფონის" ნახევარზე, რადგან „ბორჯომი" უფრო აწვებოდა.

...მალე აფციაურმა ხუთწუთიანი სეირობა მოაწყო, ზედიზედ შეიჭრა სლალომებით იმერელთა საჯარიმოში, მაგრამ კარში ჯიუტად არ ურტყამდა. და აჰა, რა ფასი ჰქონია ერთ დარტყმას: 32-ე წუთზე თორნიკემ ორი მცველი მოატყუა და 10-12 მეტრიდან ახლო კუთხეში გაუტანა ზურაბ ქვაჩახიას, რომელსაც კარის გადარჩენა ნაღდად შეეძლო — 1:0.

„ზესტაფონმა" საპასუხოდ ვერ გაიწია, სისწრაფე აკლდა და არცაა გასაკვირი: თემურ მახარაძემ სამი ისეთი ფეხბურთელი დააყენა ძირითადში, რომლებიც ამასწინათ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლდნენ ესტონეთში და ორი დღის წინ ჩამოვიდნენ. მახარაძემ მალევე მოხსნა ერთი „ესტონელი" — ბექა გოცირიძის ნაცვლად ნახევარმცველი სერგეი ნუდნი ჩართო, მეორე უცნაური ცვლილება ნახევარმცველ გიორგი თურმანიძის ნაცვლად მცველი სევასტი თოდუას გამოყვანა; საკვირველი იყო ისიც, თუ რატომ ათამაშა მახარაძემ ზურაბ იონანიძე მხოლოდ ბოლო 20 წუთი და რატომ არ გააკარა მინდორს რევაზ კვერნაძე.

ეს ისე, ჩვენთვის იყო უცნაური, თორემ „ზესტაფონის" მწვრთნელმა, ვინძლო, უკეთ იცის თავისი გუნდისა. ფაქტი ისაა, რომ ფეროელებმა მთელ 90 წუთში მხოლოდ ორჯერ უჩხვლიტეს ბორჯომელებს — ფიფია-ნუდნის კომბინაციის შემდეგ კახა ჩხეტიანმა დარტყმა დაახანა და მცველები წამოეპარნენ, მოგვიანებით კი, იმავ ჩხეტიანმა საჯარიმოდან ხარიხას გაარტყა ბურთი.

გატანა თუ იყო, „ბორჯომსაც" უნდა გაეტანა: 58-ე წუთზე გეწაძემ მთელი ფლანგი გადასერა, მაგრამ მის ჩაწოდებულს ქორიძემ ვერ მიუსწრო, რამდენიმე წუთში კი იური გაბისკირიამ გაარტყა ზედა ძელს.

მატჩი ისე ჩათამაშდა, „ზესტაფონმა" შტურმისმაგვარიც ვერაფერი გაახერხა და გაცხარებულმა თემურ მახარაძემ პრესკონფერენციაზე სხვა საკითხებთან ერთად, ესეც თქვა: რომელ ჩემპიონობაზეა ლაპარაკი, ოთხი 17 წლის ფეხბურთელი ვათამაშეო...

**თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი. 2 500 (ტევადობა 3 000)**

### ბორჯომი 1:0 ზესტაფონი

1:0 აფციაური (32)

**ბორჯომი:** მამალაძე, ა. ბურნაძე, ლ. ჭელიძე, ბაქრაძე, მემარნიშვილი, მესხი, გაბისკირია (მიქიაშვილი 90), გვირჯიშვილი, აფციაური, გეწაძე (ვ. გოჩაშვილი 81), გ. ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მაჭავარიანი, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი, რ. ჯიქია
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, განუგრავა, ბ. ნოზაძე (იონანიძე 70), გ. თურმანიძე (ს. თოდუა 46), გოგი ფიფია, ბ. გოცირიძე (ნუდნი 38), იმედაძე
*სათადარიგონი:* ბზიკაძე; სულაკაძე, პარამონოვი, რ. კვერნაძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** მესხი (21), ჭელიძე (66), ჩხეტიანი (88)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

### პრესკონფერენცია

*სოსო ფრუიძე:* თანაბარი თამაში იყო, „ზესტაფონსაც" შეეძლო მოგება. ვიცოდით, რომ მეტოქის ზოგიერთი ფეხბურთელი დაღლილი იქნებოდა და ამიტომაც გვინდოდა, პირველ ტაიმში გაგვეტანა გოლი.

*თემურ მახარაძე:* „ბორჯომმა" დამსახურებულად მოიგო, პირველ ტაიმში გვაჯობა, მეორეში კი ჩვენ უპირატესობა გოლში ვერ ავსახეთ. საინტერესო და საშინელი სხვა რამაა: „ზესტაფონზე" ფსიქოლოგიური ისტერია მოაქვთ. ვის უხსნიდება „ზესტაფონს"? [illegible] რომ „დინამოს", ავად თუ კარგად, მოუგო, ეგეც ჩვენ დაგვაბრალეს. დღეს თამაშის დაწყებამდე უკვე დემორალიზებულები ვიყავით. რა უნდა ამ ხალხს, რას გადაგვიყოლიდნენ? კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია [illegible]რგის მეტს არაფერს უკეთებს ქართულ ფეხბურთს. ახლა გავიხსენებ შარშანწინდელ ამბავსაც, როცა „სიონმა" „ოქროს მატჩი" წააგო, მეორე ადგილზე გავიდა და მეექვსეზე გაიყვანეს, ბოლინის ფეხბურთი დაანატრეს და ხმა არავის ამოუღია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 16 |
| ბორჯომი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:3 | 15 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ამერი | 6 | 4 | 1 | 1 | 6:4 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 10 |
| ზესტაფონი | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 |
| დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:5 | 9 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 3:5 | 9 |
| ბათუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | 7 |
| ცხინვალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ტორპედო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:7 | 4 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 1:4 | 4 |
| სოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| თბილისი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |

# ისე, როგორც თასის ფინალი

**თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 2 000)**

### სპარტაკი 1:0 თბილისი

1:0 ჯანგიძე (38)

**სპარტაკი:** დევაძე, თ. მჭედლიშვილი, ელიზბარაშვილი, ჯანგიძე, იმნაიშვილი, კოტრიკაძე, ჩანტლაძე (კობალაძე 70), მალიჩავა, ხუბუა (ტაბიძე 88), მაღლაფერიძე (დანელია 90), ურუშაძე
*სათადარიგონი:* დონდოლაძე, დ. ფიფია, რიყამაძე
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**თბილისი:** ალავიძე, გ. დარსაძე, ქორიძე, მიმინოშვილი, გოგოხია, ხოხონიშვილი (თოფურია 46), მუშკუდიანი, გ. ფოფხაძე (კაკაბაძე 67), ბერიძე, ბოჭოიძე, გოგა ფიფია (კვასხვაძე 66),
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; კაკაბაძე, მოდებაძე, ხაჭიპერაძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**გაფრთხილება:** ელიზბარაშვილი (49), ბოჭოიძე (65), გოგოხია (84)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); გ. ახკაროღლი (ქარელი)

**ინსპექტორი:** ჯ. სილაგავა

**დავით თავართქილაძე**

**აუტსაიდერთა** დერბი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა, ეგაა, რომ „სპარტაკმა" მიმდინარე ჩემპიონატში პირველად მოიგო, „თბილისი" კი კვლავ უქულოდაა.

თამაშს ჟინი არ აკლდა, მაგრამ წუნი თითქოს აბათილებდა შეუპოვრობას და საინტერესო მატჩიც ვერ გამოვიდა.

პირველ ტაიმში „სპარტაკი" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, თუმც დიდი ხვითო არც თვითონ ყოფილა. სპარტაკელები უფრო დიდ ხანს ფლობდნენ ბურთს, მაგრამ საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ.

„სპარტაკი" ჰაერშიც უტევდა „თბილისს" — მაღალ ბურთებზე მასპინძელთა ფორვარდები ჯაბნიდნენ სტუმართა მცველებს, თუმც თბილისელთა მეკარე მიხეილ ალავიძე ძალიან საიმედოდ თამაშობდა.

მაგრამ ჰაერიდან დაშენილ ბურთებს „თბილისმა" ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო — ნაკუთხურალ ბურთს „თბილისის" კარის შორეულ ძელთან ლაშა ჯანგიძე დაუხვდა და თავით გადაგზავნა ბადეში.

შესვენების შემდეგ სხვა თამაში წავიდა — „თბილისი" უკეთ ირჯებოდა, წაგებას ვერ ეგუებოდა და რამდენიმე მწვავე იერიშიც მიიტანა აკაკი დევაძის კართან. გიორგი დარსაძე მარცხენა ფლანგიდან კარგად შეიჭრა „სპარტაკის" საჯარიმოში, მაგრამ მცველთან ბრძოლაში და თან მახვილი კუთხიდან ხეირიანად ვერ დაარტყა. ცოტაც და, კვლავ მარცხნიდან შეუტია მწვავედ „თბილისმა" — კაკაბაძის ჩაწოდებულს კვასხვაძემ მარჯვედ ვერ დაჰკრა თავური.

„სპარტაკმაც" გამოიდო თავი და უპირატესობის გაზრდის შესაძლებლობაც მიეცა — კობალაძის პასით ურუშაძე ალავიძესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა.

სუმბურული მეორე ტაიმი უგოლოდ ჩამთავრდა.

### პრესკონფერენცია

*გიორგი დევდარიანი:* ორი განსხვავებული ტაიმი იყო, პირველში უპირატესობა მეტოქეს ჰქონდა, მეორეში ჩვენ, მაგრამ ეს წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მოთმინებაა საჭირო, რათა ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოცდილება შეიძინონ.

*გიგლა იმნაძე:* აქამდე მოგება არცერთ გუნდს არ ჰქონდა და სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით ეს მატჩი ამ გუნდებისთვის თითქოს თასის ფინალი იყო. გავიმარჯვეთ, თუმც პრობლემები ჩვენც გვაქვს.

# დავით ყიფიანის თასი

## მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩი

აბარა. 20 სექტემბერი. 15.30 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 1 000)

### მეშაქრე 1:4 *ამერი* (2:1)

0:1 დავითაშვილი (37), 0:2 სევასტოპულო (38), 1:2 თემურ გელაშვილი (42), 1:3 გ. ლომიძე (47ს.კ), 1:4 დავითაშვილი (62)

მეშაქრე: ბარათელი, გ. ლომიძე, ვერემჩუკი, ჩადუნელი, ნოზაძე, ლაცაბიძე, ბურჯანაძე (ბერუაშვილი 66), გ. კვეტენაძე (ვიშნიაკოვი 68), თემურ გელაშვილი, ბერელიძე (თამაზ გელაშვილი 73), ბეგოიძე
*სათადარიგონი:* დერევიანჩენკო; გოგოლაძე, ფაშაოღლი, ზ. ლომიძე
მწვრთნელი: ბადრი ტყემალაძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (ნ. ნადირაძე 80), გ. კვახაძე, კედელაშვილი (ბერიანიძე 64), დარსანია, კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი, ს. დავითაშვილი, სევასტოპულო (სილაგავა 77), ტატანაშვილი
*სათადარიგონი:* ნაჭყებია; გარუჩავა, ნიკოლაიშვილი, მ. ჯიშკარიანი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ბურჯანაძე (38), ვერემჩუკი (43), დარსანია (48)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ფიფია (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე



ასეთი მომენტები „მეშაქრეს" კართან მრავლად შეიქმნა

# ამერს აბარაში შაქარმა დაუწია

კობა ინასარიძე აგარიდან

**საქართველოს** თასის მეთექვსმეტედფინალს თუ კი რამ სენსაცია ახლდა, პირველ ყოვლისა, „ამერი" — „მეშაქრეს" თბილისურ მატჩს. აგარელებმა კბილებით იბრძოლეს და მასპინძელთა უდიდესი უპირატესობის მიუხედავად 2:1 მოიგეს. საპასუხო მატჩი კი აგარაში გუშინ შედგა და პირველი შეხვედრის ანგარიშის მიუხედავად, რა თქმა უნდა, ფავორიტად „ამერი" ითვლებოდა. სტუმრებმაც მეტოქეს შანსი არ დატოვეს და გეგმა გადაჭარბებითაც შეასრულეს.

თბილისელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ მეტოქეს სამი თავდამსხმელი დაუპირისპირა და მაშინვე ცხადი გახდა, რომ „მეშაქრეს" დაცვას პრობლემები არ მოაკლდებოდა. ისე კი, „ამერს" მერვედფინალში გასავლელად გოლები ჰქონდა გასატანი და სამი ფორვარდით თამაში მთლად მოულოდნელიც არ ყოფილა. სულიკო დავითაშვილმა, დავით სევასტოპულომ და დიმიტრი ტატანაშვილმა კი საქმე ხუთიანზე გააკეთეს. დავითაშვილმა სულაც ჰეთ-თრიქი გაახერხა.

არადა, პირველი ხიფათი სწორედ „ამერის" კართან შეიქმნა: დიმიტრი ვერემჩუკმა ჯარიმიდან საშინელი სიძლიერით დაარტყა, ბურთი ცხრიანისკენ მიფრინავდა, მაგრამ სტუმართა გასახარად ლადო ნადირაშვილმა იყოჩაღა და გუნდი გადაარჩინა. ეს ამბავი პირველი ტაიმის შუისკენ მოხდა. იქამდე კი თამაში თბილისელებისა იყო, მაგრამ რეალურ ხიფათამდე საქმე არ მისულა. თუმც, როცა „ამერი" „მეშაქრეს" პირველად სერიოზულად დაემუქრა. გოლიც გაიტანა — ტატანაშვილმა მეტოქეს ბრძოლა თავით მოუგო, იქვე მყოფმა სევასტოპულომ შეტევა მარცხნიდან ალეკო კოშკაძეს გააგრძელებინა და ისიც მეკარის ცხვირწინ დარჩა. კოშკაძის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, დავითაშვილიც იქ გაჩნდა და თავურით ახლოდან გაიტანა. წუთიც არ იყო გასული, თბილისელებს სიხარული განელებული არც ჰქონდათ, მეორეც გაიტანეს — სევასტოპულომ დაახლოებით ოცი მეტრიდან დაარტყა, მასპინძელთა მეკარე უხეშად შეცდა და... „ამერმა" 2:0 წაიყვანა და თითქოს თავი ქუდში ჰქონდა, მაგრამ თემურ გელაშვილმა სტუმრებს საქმე ნაადრევად არ მომთავრებინა, ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე სხვაობა შეამცირა და ორი მატჩის ჯამში ანგარიშიც გაათანაბრა — დიმიტრი ვერემჩუკის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ნადირაშვილმა ხელებში ვერ შეიკავა, რითაც გელაშვილმა დამატებაზე ისარგებლა და ახლოდან გაიტანა — 1:2.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე კი „ამერმა" გასაკეთებელი მაინც გააკეთა — დავითაშვილმა რამდენიმე მასპინძელი ჩამოიშორა, მეკარესაც გასცდა, მახვილი კუთხიდან დაარტყა და გურამ ლომიძემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ეს იყო და, დარჩენილ დროში ფეხბურთს ერთი გუნდი — „ამერი" თამაშობდა, რითაც თვით აგარელი ქომაგებიც გაკვირვებულნი დარჩნენ. თბილისელებმა მეტოქეს გასაქანი არ მისცეს და ნადირაშვილის კარის მისამართიც დაავიწყეს. თხუთმეტ წუთშიც მეოთხე ბურთი შეაგდეს — დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, ის ერთი მოძრაობით ჩამოიშორა და, ვიდრე გაიტანდა, გოლის აღნიშვნაც იქამდე დაიწყო.

თამაშიც, ფაქტობრივად, იქვე დამთავრდა, „მეშაქრე" სამი გოლის გამტანი აღარ იყო და არც „ამერი" მისცემდა მეტოქეს ამის საშუალებას.

მეორე სენსაცია აღარ შედგა, „ამერმა" თბილისური შედეგი აგარაში გამოასწორა და ახლა მერვედფინალის მეტოქეს ელის.



გიორგი დავითნიძე (მარჯვნივ) და „ამერი" მერვედფინალში არიან





ამერელმა სულიკო დავითაშვილმა (№14) თავისი სამიდან ერთ-ერთი გოლი გატანამდე აღნიშნა

# სოლმა ორი დააჯახა




AFP ლიონფოტოფანდი

„ევერტონის" კარში პირველი გოლი სოლ კემპბელის ამ თავურს მოჰყვა

## ინგლისი

**პრემიერლიგა. VI ტური**

**არსენალი 2:0 ევერტონი**

1:0, 2:0 ს. კემპბელი (11, 30)

**არსენალი:** ლემანი, ს. კემპბელი, ტურე, ლორენი, ეშლი კოული, ფაბრეგასი, ჟილბერტო, ლიუნგბერგი, ვან პერსი (ბერხკამპი 67), პირესი (ა. გლები 29), რეიესი (სონგი 86)

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**ევერტონი:** მარტინი, იობო, ვეირი, ჰიბერტი, ფერარი, ოსმანი, ფ. ნევილი, არტეტა (დევისი 85), მაკფადენი, ჩეჰილი (დ. ფერგიუსონი 67), მ. ბენტი (კილბეინი 81)

**მწვრთნელი:** დევიდ მოიესი

**გაფრთხილება:** ფაბრეგასი, რეიესი, ფ. ნევილი, ჰიბერტი, ჩეჰილი

**მსაჯი:** ვაილი

38 121 მაყურებელი

**ეგრეა**, ეგრე „ჰაიბერის" გმირი ორბაშათ საღამოს სოლ კემპბელი იყო, რომელმაც ორი გოლი გაიტანა „ევერტონის" კარში და „არსენალმაც" სწორედ ამ ორი ბურთის სხვაობით, მშრალად გაიმარჯვა.

ტრავმის შემდეგ დაბრუნებული კემპბელი ისედაც შვებაა მეთოფეთა დაცვისთვის.

ამ სეზონში „არსენალს" მხოლოდ მეორე თამაში გამოუვიდა, გოლი რომ არ გაუშვია. რა სათქმელია და სოლმა ორივე გოლი თავით და ორივე ხოსე რეიესის ჩაწოდებით გაიტანა და [illegible] ასრულება შეძლო. [illegible] „ევერტონმა" კი ხელი [illegible] ნახა, ყვითელი [illegible].

დევიდ მოიესის გუნდს მხოლოდ სამი ქულა აქვს და ერთადერთი გოლის გატანა მოუხერხებია. შუა კვირაში, „ევერტონმა" სამარცხვინოდ წააგო ბუქარესტში 1:5.

„ახლა მთავარი გასვლაზე მოგებაა — თქვა არსენ ვენგერმა, — ჩვენ თანდათან ვიბრუნებთ ჩვეულ გაწყობას".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 6 | 0 | 0 | 12:0 | 18 |
| ჩარლტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| მანჩესტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ბოლტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ტოტენჰემი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| მიდლსბრო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| უიგანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| ლივერპული | 4 | 1 | 3 | 0 | 1:0 | 6 |
| ასტონ ვილა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| პორტსმუთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ნიუკასლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ფულემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ბირმინგემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| ბლექბერნი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| ევერტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 1:6 | 3 |
| სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |




# ორი მუხლი, სწრაფად!

**ლეგენდარულმა** რობერტო ბაჯომ დაადასტურა, რომ „ინტერის" მეპატრონის, მასიმო მორატის ნათქვამმა, ოღონდ კი ბაჯომ ინებოს და ჩემს კლუბში საქმეს უეჭველად გამოვუნახავო, დააინტერესა. შეგახსენებთ თუ რატომ წამოიჭრა ეს თემა: რამდენიმე დღის წინ თავად ცხენისკუდამ გამოთქვა ფეხბურთში რაიმე ფორმით დაბრუნების სურვილი, ხოლო მორატი მის ნათქვამს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა.

„დიახ, ძალიან მენატრება ფეხბურთი, მეტარე თამაში, მაგრამ სანამ მოედანზე დავბრუნდები ახალი წყვილი მუხლი უნდა ვიშოვნო. რაც შეეხება „ინტერს", მორატიმ თქვა, რომ ჩემთვის მისი კლუბის კარი მუდამ ღიაა, რისთვისაც მადლობას ვუძღვნი და სრულებით არ გამოვრიცხავ, რომ ამ შეთავაზებით ვისარგებლებ".

ცხენისკუდა „ინტერში" 1998-2000 წლებში თამაშობდა. ცნობილია, რომ წამოსვლის შემდეგ მისი დამოკიდებულება შავ-ლურჯებისადმი მთლად ერთგვაროვანი არ იყო, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მის მიმართ მორატი ყოველთვის სიმპატიით იყო განწყობილი. აი, ვისთანაც დიდ ფეხბურთელს ურთიერთობა არ უვარგოდა, იტალიის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი მარჩელო ლიპი გახლდათ.

**პაპუნა ძიდია**

# მომავალში, ოდესმე, ეგებ...

**„ჩელსის"** ბოსმა ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, რომ ოდესმე, მომავალში ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე იფიქრებდა.

„ახლა ისეა, თავს გარკვეულწილად ინგლისელად ვგრძნობ — თქვა 42 წლის ჟოზემ — თუ ხუთ წელიწადს მაინც კიდევ ვიქნები აქ, კიდევ უფრო გავინგლისელდები. ამ დროში ინგლისელი ხალხიც ჩემს გულში იქნება და თავად ინგლისიც. ეს კი საშუალებას მომცემს რომ ეროვნულ საქმეში ბოლომდე შევიდე. თუმც მაურინიუმდე ამ საქმეს აქაური უნდა უძღვებოდეს. ამით იმას არ ვამბობ რომ ერიკსონი არ ვარგა. ის დიდი პროფესიონალია და ინგლისიც მის გულშია".



ჟოზეს არ უთქვამს, მაგრამ გაზეთები კი წერენ, რომ მაურინიუ ინგლისურ პასპორტზე განაცხადის შეტანას აპირებს, რადგან ძალიან შეყვარებია იქაური ცხოვრების წესი და მისი ვითომდა განზაგოდებული ნათქვამები ნაკრების მწვრთნელობაზე სულაც არ არის უბრალო ნათქვამები.

გუშინ საღამოს კი პრესაში სხვაგვარი ინფორმაცია გავრცელდა. პორტუგალიელმა სპეციალისტმა საჯაროდ უარყო ეს ყველაფერი და აღნიშნა კარიერის დასრულებამდე ჩემ მშობლიურ ნაკრებს უნდა ჩავუდგე სათავეში, ხოლო იქამდე „ჩელსიში" სერიოზული ამბები და სამუშაო მელოდებაო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## პორტუგალია

**სუპერლიგა**

**IV ტური**

**ბელენენსეში 3:1 გიმარაეში**

0:1 ბენ აშური (16) 1:1, 2:1 მეიონგი (21, 56), 3:1 სილარი (64)

**ნასიონალი — სპორტინგი**

0:1 დევიდი (48), 1:1 გულარტი (64), 2:1 პინტუ (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ბრაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 4:0 | 10 |
| ნასიონალი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| ბელენენსეში | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| რიუ ავე | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 2 | 0 | 2 | 3:2 | 6 |
| ფერეირა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| ნავალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| ამადორა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მარიტიმუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| პენაფიელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ლეირია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |
| გიმარაეში | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

## შვედეთი

**ალსვენსკა**

**XXII ტური**

**გიოტებორგი 1:3 იურგორდენი**

**ჰალმსტადი 1:1 ელფსბორგი**

**ჰამარბი 0:0 სუნდსვალი**

**ლანდსკრონა 0:1 ჰეკენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 22 | 14 | 4 | 4 | 46:23 | 46 |
| გიოტებორგი | 22 | 11 | 7 | 4 | 27:14 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:30 | 36 |
| მალმიო | 21 | 10 | 5 | 6 | 29:22 | 35 |
| ჰამარბი | 22 | 9 | 7 | 6 | 36:25 | 34 |
| კალმარი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:19 | 33 |
| იორგრიტე | 22 | 9 | 4 | 9 | 31:32 | 31 |
| ელფსბორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:30 | 31 |
| ჰეკენი | 22 | 9 | 2 | 11 | 26:25 | 29 |
| ჰალმსტადი | 22 | 7 | 5 | 10 | 30:30 | 26 |
| გეფლე | 22 | 7 | 4 | 11 | 20:28 | 25 |
| ლანდსკრონა | 22 | 6 | 6 | 10 | 22:35 | 24 |
| სუნდსვალი | 22 | 4 | 7 | 11 | 24:41 | 19 |
| ასირისკა | 22 | 4 | 2 | 16 | 15:38 | 14 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# მონაკო ჟან პეტის ათხოვეს

**„მონაკოდან"** წასულ დიდიე დეშანს დროებით ჟან პეტი შეცვლის, რომელიც მის თანაშემწედ მუშაობდა. კლუბის პრეზიდენტმა მიშელ პასტორმა განაცხადა, რომ ახალ მწვრთნელს ორი კვირის განმავლობაში მოძებნის. დეშანის სავარაუდო შემცვლელთა ნუსხაში გი ლაკომბი, ჟან ტიგანა, პოლ ლე გუენი და რეინალდ დენიო არიან.

კანის საფეხბურთო აკადემიის ყოფილი შევი გი ლაკომბი ერთ-ერთ ნიჭიერ მწვრთნელადაა ცნობილი. იგი ამ ზაფხულს „სოშოდან" წავიდა.

„მონაკოდან არავინ დამკავშირებია, მაგრამ ვიცი, რომ იქ ჩემზე საუბრობენ" — თქვა ლაკომბმა. სხვა კანდიდატებიდან — ტიგანას „მონაკოში" 1995-1998 წლებში უმუშავია. პოლ ლე გუენი „ლიონიდან" აბარგების შემდეგ საზღვარგარეთ ეძებდა სამსახურს, თუმც ვერაფერს მიაგნო. „სოსიედადის" კინალამ გამჩემპიონებელი რეინალდ დენიოც უმუშევარია.

ჟან პეტის კი არ სურს, რომ დეშანის ადგილზე მოკალათდეს: „ასეთი საქციელი ღალატის ტოლფასი იქნება. ჯობს, მწვრთნელად სხვა დანიშნონ".

რაც შეეხება დეშანს, აგენტის განცხადებით, მის კლიენტს ჯერ დასვენება სჭირდება და მერე რამეს მოიფიქრებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჟან პეტი

# იტალია

*პაპუნა კედია*

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასკოლი | : | სიენა |
| კიევო | : | ინტერი |
| ემპოლი | : | კალიარი |
| ლეჩე | : | ფიორენტინა |
| მესინა | : | ლივორნო |
| მილანი | : | ლაციო |
| პალერმო | : | რეჯინა |
| რომა | : | პარმა |
| ტრევიზო | : | სამპდორია |
| უდინეზე | : | იუვენტუსი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 7 |
| ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| პალერმო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| ლივორნო | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| კიევო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| უდინეზე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 4 |
| მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| პარმა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სიენა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| მესინა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ასკოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ლეჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| რეჯინა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |
| ტრევიზო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| ემპოლი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

# სამი მოგება, რომელიც არაფერს ნიშნავს

**„იუვენტუსს“** რთული მატჩი ელის, თან სტუმრად, უდინეში. „უდინეზე“ კი ნუ დაგავიწყდებათ, ჩემპიონთა ლიგაში გადის, ასე, რომ ფაბიო კაპელო და მისი იტალიის ბებერი ჩემპიონი ქალბატონი სერიოზულ წნეხში გაივლიან.

ცხრილში ხედავთ, რომ „იუვემ“ პირველ სამ ტურში სამი თამაში მოიგო. ორი ქულით ჩამორჩებიან გუნდი, „ფიორენტინას“, „ლივორნოს“, „პალერმო“ და „ლაციო“ ჩამორჩება, ხოლო, „მილანი“, რომელიც, რაც არ უნდა მივგრიხმოვგრიხოთ სიტუაცია, „იუვენტუსის“ უპირველესი, ბევრის აზრით კი სულაც ერთადერთი კონკურენტია, ხუთი ქულით უკან არის. ერთი სიტყვით, ტურინში სიხარულის და თავის ამაყად დაჭერის ყველა პირობა აქვთ, მაგრამ ვინ, ვინ და მთავარი კაცი, ფაბიო კაპელო მთლად ბედნიერი რაღაც ვერ ჩანს.

„სამ თამაშში სამი მოგება საერთოდ არაფერს ნიშნავს, — თქვა მან გუშინდელ „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში, — მილანელებმა ორი თამაში სტუმრად ჩაატარეს, ჩვენ — შინ, ანუ კვირასვე შესაძლოა ერთნაირად ვიყოთ. მაგრამ, ამწუთას მხოლოდ უდინეში თამაშზე ვფიქრობ. ამ შეხვედრაში იმაზე უკეთ თამაში გვმართებს, ვიდრე „ასკოლისთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში ვითამაშეთ“.

იტალიელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ წლეულს „იუვენტუსი“ შარშანდელზე ძლიერია. მიზეზები მრავლადაა. მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ბებერი ქალბატონის“ ძირითად შემადგენლობას შეერწყა და ადრინდელზე თავდაჯერებით თამაშობს, დავიდ ტრეზეგე კარგ ფორმაშია, პატრიკ ვიეირა იმხელა ფეხბურთელია, რომ „არსენალიდან“ გადასვლის შემდეგ ემერსონის გვერდით გონს მოსასვლელად ერთი-ორი დღე ეყო.

რაც შეეხება „უდინეზეს“ მან გასულ კვირაში, ჩემპიონთა ლიგის სადებიუტო შეხვედრაში გაილაღა და კაცმა რომ თქვას ცოტა მოულოდნელადაც 3:0 მოუგო „პანათინაიკოსს“, მაგრამ იტალიაში დაბრუნებულმა „ფიორენტინასგან“ 4:2 მიიღო და მაღალი ტემპით დაუბრუნდა დედამიწას.

„მილანს“ კი საზეიმო პაოლო მალდინის 571-ე თამაში აქვს სერია A-ში, რაც დინო ძოფის რეკორდის მოხსნას ნიშნავს, თუმცა მედალს მეორე, კარლო ანჩელოტის მხარეც აქვს, რომელზეც წერია, რომ შავ-წითლებს ბოლო ათი მატჩიდან მხოლოდ ორი აქვთ მოგებული და მწვრთნელი ჯობს უფრო



„ინტერის“ ლიდერი ადრიანო (მარჯვნივ) დაახლოებით ორი კვირა ვერ ითამაშებს

დაკვირვებით იყოს. ამბობენ ოთხწლიანი მუშაობის წლებში ანჩელოტი პოზიცია ასე მოყანყალებული არასდროს ყოფილაო.

მოკლედ, „მილანი“ „ლაციოს“ მასპინძლობს და თუ იტალიურ წყაროებს ვენდობით, კახა კალაძე სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

„ინტერი“, რომელიც, ჩვენში დარჩეს და ვეღარ გავიგეთ არის თუ არა ამ ჩემპიონატის ფავორიტი, ვერონაში „კიევოსთან“ დაშავებული ადრიანოს გარეშე ჩადის. მილანელთა საბედნიეროდ ვერონელი „მფრინავი ვირები“ ძველებურად ველარ ვირობენ, სამ თამაშში მხოლოდ ექვსი ქულა აქვთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ნათქვამია ალდგომა და ხვალეო.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 3-4-3

- ტონი — *ფიორენტინა*
- დელ პიერო — *იუვენტუსი*
- მაკინვა — *პალერმო*
- ფ. ფრანჩესკინი — *კიევო*
- ტონეტო — *სამპდორია*
- კოცა — *რეჯინა*
- კამბიასო — *ინტერი*
- კასტელნი — *სამპდორია*
- ჯ. კანავარო — *პარმა*
- ტერლიცი — *პალერმო*
- ბერტი — *ემპოლი*

გუნდი: ფიორენტინა

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო (სამპდორია)

# ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვილიარეალი | : | სელტა |
| სევილია | : | კადისი |
| სარაგოსა | : | ოსასუნა |
| დეპორტივო | : | ბეტისი |
| ბარსელონა | : | ვალენსია |
| სოსიედადი | : | ატლეტიკო |
| ხეტაფე | : | მალიორკა |
| მალაგა | : | ალავესი |
| რასინგი | : | ესპანიოლი |
| **ხვალ** | | |
| რეალი | : | ბილბაო |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხეტაფე | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| დეპორტივო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| სელტა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ესპანიოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| კადისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სევილია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| მალიორკა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| სარაგოსა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| რეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| რასინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| მალაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სოსიედადი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| ვილიარეალი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ალავესი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

# ბარსელონას ისევ უხერხულად დაუღამდება?

**ესპანური** პრიმერას მეოთხე ტურის უმთავრესი შერკინება დღეს კატალონიურ „ნოუ კამპზე“ გაიმართება. ფრანკ რაიკაარდის „ბარსელონას“ ტრადიციულად უხერხული მეტოქე, „ვალენსია“ სტუმრობს. კიკე სანჩეს ფლორესის „ღამურებს“ კატალონიური გრანდის სტადიონი კარგად აქვთ დაცდილი — ბოლო ოთხი სეზონია, „ბარსას“ შინ ვალენსიელები არ დაუმარცხებია. ბოლოს 2001 წელს გაიმარჯვა. მაშინ ჯადოსანმა რივალდომ სამი ბურთი შეაგდო და „ბარსელონას“ 3:2 მოაგებინა.

„ღამურების“ დესანტი მნიშვნელოვან ბრძოლას ძირითადი ჯარისკაცებით გადაიხდის — შაბათს „დეპორთან“ ცხვირგატეხილმა პაბლო აიმარმა ორშაბათს სასწრაფო ოპერაცია გაიკეთა და „ბარსას“ წინააღმდეგ დამცავ ნიღაბაფარებული იბურთავებს. არგენტინელი 21 სექტემბრის მატჩიდან თითქოს დისციპლინარული პრობლემების გამოც უნდა მოეხსნათ, მან ცხვირის ჩამლეწავ კაპდევილას სახეში შეაფურთხა, თუმც რთული ესპანური კანონების წყალობით საგამოძიებო ეტაპი რამდენიმე დღით გაჯანჯლდა, პაბლო „კამპ ნოუზე“ გამოსვლას შეძლებს, აი, მეხუთე ტურს კი ალბათ გამოატოვებინებენ.

თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პატრიკ კლუივერტსაც სურს თამაში, მაგრამ სავარაუდოდ ვერ შეძლებს. ჰოლანდიელს, რომელიც ადრე 6 სეზონის განმავლობაში სწორედ „ბარსელონას“ მეგოლე გახლდათ. ტრავმა აწუხებს.

მადრიდის „რეალი“ ხოსე მარია ამოროტუს „ბილბაოს“ სერხიო რამოსის და ივან ელგერას გარეშე მიიღებს. პირველმა „ესპანიოლთან“ მატჩში ორი ყვითელი ბარათი აიკიდა, მეორეს კი ტრავმირებული მარჯვენა ფეხი აწუხებს და მისი ბასკებთან მინდორზე ჯირითი ფრიად საეჭვოა. მოგეხსენებათ, რამოსი და ელგერა სამეფო გუნდის დაცვის ცენტრს პატრონობდნენ, ახლა კი ვანდერლეი ლუშემბურგოს მათ ნაცვლად პავონის, მეხიას, ან ინგლისელი ვუდგეიტის გამოყვანა მოუწევს. ვუდგეიტი თამაშს სიგიჟემდეა დანატრებული. წელიწადზე მეტია, „რეალის“ ლაზარეთში ყურყუტებს და „ბერნაბეუზე“ ხვალ მისი გამოჩენა მადლი იქნება.

ხსენებულ მცველთა გარდა, „რეალი“ ტრავმირებულ ზიდანსა და სანქცირებულ ბაპტისტას მოისაკლისებს, ბასკებს კი ხავი კასასი და უარსაისი არ ეყოლებათ.

პრიმერას ამჟამინდელმა ლიდერმა „ხეტაფემ“ ზაფხულში ტრანსფერზე 1,3 მილიონი ევრო დახარჯა. შედარებისთვის, „რეალის“ თავკაცებმა ახალ ფეხბურთელებში 91,3 მილიონი გაიღეს. მიუხედავად ამისა, პატარა მადრიდული კლუბი ცხრილის სათავეში ყოფნას ახერხებს. „ხეტაფე“ დღეს ჰოსპიტალად გადაქცეულ „მალირკას“ ხვდება. ხოსანი, პერეირა, იულიანო, ტუსიო და რაფიტა დაშავებულები არიან.

მადრიდის „ატლეტიკოს“ „სოსიედადთან“ ჯახში ტრავმირებული პერეა არ ეყოლება. „ვილიარეალის“ მომჯობინებული რიკელმე „სელტასთან“ ომს შესძლებს, ვიგოელთა კანობიო კი მარცხენა ფეხის მძიმე ტრავმის გამო ვერც დღეს და ვერც მომავალი ორი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. „დეპორტივოს“ „ბეტისის“ წინააღმდეგ მუნიტისი, მომო, ვექტორი და კარილი ვერ დაეხმარებიან, ხოლო ანდალუსიელთა მწვრთნელი „რისორიზე“ სავარაუდოდ დაშავებულ ედუს და დანის არ გამოიყვანს.

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 4-3-3

- ნენე — *ალავესი*
- ფ. ტორესი — *ატლეტიკო*
- დ. ლოპესი — *ოსასუნა*
- დუდა — *მალაგა*
- დ. ლოპესი — *ოსასუნა*
- რიკი — *ხეტაფე*
- ხარკე — *ესპანიოლი*
- პირნია — *ხეტაფე*
- კასკერო — *რასინგი*
- მიგელი — *ვალენსია*
- კამინი — *ესპანიოლი*

გუნდი: ატლეტიკო

მწვრთნელი: კარლოს ბიანკი (ატლეტიკო)



# რაიკარდი ისევ ბარსას მაესტრო იქნება

„ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი განაახლა. ადრინდელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2007-ის ნაცვლად ჰოლანდიელს „ბარსას“ სათავეში ყოფნა 2009 წლის 30 ივნისამდე მოუწევს.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „კამპ ნოუზე“ კიდევ 4 წელიწადს დავრჩები და მჯერა, რომ ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელება კლუბში ყველას გაუხარდა. ჩემთვის კონტრაქტი უბრალო ხელმოწერაა და სხვა არაფერი. მთავარი ის ერთგულება და სიყვარულია, რაც „ბარსასთან“ მაკავშირებს“ — განაცხადა რაიკაარდმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

„უბრალო ხელმოწერისა“ რა მოგახსენოთ, ფრანკთან ახალი კონტრაქტის დადება კი ფრიად გაჭიანურდა. იტალიურ-ესპანურ პრესაში რაიკარდის „მილანურ“ ინტერესებზეც საუბრობდნენ. როგორც მაშინ ითქვა, ჰოლანდიელის ახალი ხელშეკრულება მის „სან სიროზე“ გადაბარგებას არ გამორიცხავდა.

„კონტრაქტის დეტალებზე ლაპარაკს არ ვაპირებ. გეტყვით მხოლოდ, რომ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, შეთანხმების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით „ბარსადან“ ვადამდე ადრე წასვლაც შემიძლია, ოღონდ „მილანი“ აქ არაფერ შუაშია“ — აღნიშნა კატალონიელთა დამრიგებელმა.

რაიკაარდმა თავისი ხაზინაც გააუმჯობესა, თუ ოდინდელი ხელშეკრულებით „კამპ ნუოზე“ მწვრთნელს 1,2 მილიონ ევროს უხდიდნენ, ახლა „ბარსას“ მაესტრო წლიურად 3 მილიონს მიიღებს. ამრიგად, თავის მოწაფეებს მწვრთნელიც შეუერთდა — 2010 წლამდე კონტრაქტი ვალდესმა, ხავიმ, დეკომ, რონალდინიომ და ეტოომ გაახანგძლივეს. წინ ახლა „კარლეს პუიოლის საქმე“ რჩება.

**ლადო ხომერიკი**

# კაცი, რომელსაც გამოფატრავენ



**ესპანური** „კადისის“ ნახევარმცველ ბენხამინს დღეს „სევილიასთან“ საპრიმერო მატჩში იქაური ინჩასები განსაკუთრებული აგრესიით დაატყდებიან თავზე. ბენხამინ სარანდონა ყოფილი ბეტისელია, „სევილიას“ „სამარადჟამო მტრის“ ექსფეხბურთელი და „სანჩეს პისხუანის“ არენის რისხვასაც ამიტომ იმსახურებს.

„ბეტისში“ 7 წელი ვიბურთავე და თავს ნაწილობრივ ახლაც იმ კლუბის მოთამაშედ ვთვლი. „სევილია“ ყოველთვის ჩვენი უპირველესი მეტოქე იყო, ჩემთვის კი „კადისში“ გადასვლით ძველი ომი არ დამთავრებულა. ვეცდები, „პისხუანზე“ გოლი გავიტანო და „კადისთან“ ერთად „ბეტისიც“ გავახარო. დარწმუნებული ვარ, „რუის დე ლოპერაზე“ „სევილიას“ მარცხს სიხარულით შეხვდებიან“ — აღნიშნა ბენხამინმა „მარკასთან“ ინტერვიუში.

სარანდონა „სევილიას“ ფანთათვის ერთ-ერთი ყველაზე საძულველი ფეხბურთელი გახლავთ. თავის დროზე „ბეტისის“ მწვანე ფორმაში გამოწყობილ ბენხამინს თანაქალაქელთა დერბისას მეტოქის მავანმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან დანა ესროლა და საბედნიეროდ, მიზანს აცილა... „სევილიელებიდან მესიჯებს ვიღებ, ჩვენთან რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გამოგფატრავთო (!). ვნახოთ, რომელი დაასწრებს, ისინი დანის სროლასპის თუ მე გოლების გატანას. ძალიან კარგი, თუ „პისხუანის“ ინჩადის ასე გამწარება მოვახერხე“ — აღფრთოვანებით თქვა „ბეტისის“ ძველმა ჰეომარმა.

**ლადო ხომერიკი**

# რატომ მოგბინწყენიათ?
## ვიალიმ ლამპარდი გაიწბიარა

**ფრენკ ლამპარდი** არ ეთანხმება მათ, ვინც ფიქრობს, რომ „ჩელსის“ თამაში მოსაწყენია. „როცა ასეთ რამეს მეუბნებიან, მეცინება — თქვა ლამპარდმა — პრემიერლიგაში პირველ ადგილზე ვართ და ჯერ მატჩი არ წაგვიგია. ჩვენ მოსაწყენ ფეხბურთს არ ვთამაშობთ“.



ფრენკ ლამპარდი (მარჯვნივ)

ბუკმეიკერები არა მხოლოდ „ჩელსის“ დაუმარცხებლობაზე, არამედ იმაზეც კი იღებენ ფსონებს, რომ მაურინიუს შეგირდები პრემიერლიგის ყველა შეხვედრას მოიგებენ.

უძლეველი გუნდები არ არსებობენ — განაგრძო ლამპარდმა — ჩვენ თუ ვიფიქრეთ, რომ ვერავინ მოგვიგებს, სწორედ მაშინ აგვერევა ფეხი. ამიტომ ნებისმიერ მატჩისთვის სრულად მობილიზებულნი ვართ“.

„ჩელსის“ ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ ლამპარდს კვერი დაუკრა: „პრემიერლიგაში 38 ტურია სათამაშო და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამის გარდა, დიდი გუნდები სხვადასხვა ტურნირებშიც თამაშობენ, რაც ფეხბურთელების გადაღლას იწვევს, თუმც „ჩელსი“ შთამბეჭდავი ფეხბურთით საპირისპიროს ამტკიცებს. გასული, მძიმე სეზონის კვალი საერთოდ არ ეტყობა. „მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალს“ და „ლივერპულს“ ჩელსელებთან გაჯიბრება რომ გაუჭირდებათ, აქედანვე კარგად ჩანს. არა მგონია, რომ მაურინიუს გუნდი მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობდეს. ძალიან მაღალ ტემპში თამაშობენ და ბრწყინვალედ უგებენ ერთმანეთს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მომინდომეს გარინჩა



**რონალდომ** თავისი დამრიგებელი ვანდერლეი ლუშემბურგო პრესის შემოტევისგან დაიცვა. მას შემდეგ, რაც „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატზე და ჩემპიონთა ლიგაში მიჯრით სამი თამაში წააგო, მადრიდულმა გაზეთებმა ლუშემბურგო კრიტიკის ქარცხეცხლში გაატარეს. თუმც ეტყობა, მისი ბრაზილიელი მოწაფეები „კიჭას“ თაოსნობით ბოლომდე თანამემამულე მწვრთნელის მხარზე იქნებიან.

„პრესაში ხშირად იწერება, თითქოს ლუშემბურგოს მიერ არჩეული სათამაშო სტილი სისულელეა, რომ ფლანგებიდან მეტოქეს არავინ უტევს. არავითარ შემთხვევაში ამ აზრს არ ვეთანხმები. დღეს „რეალი“ თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, ხოლო გარინჩასნაირი, მხოლოდ ერთ, გარკვეულ პოზიციაზე მყოფი მოთამაშეები [illegible] ხანია, აღარ არსებობენ“ — განაცხადა რონიმ.

მედიის მიხედვით, მალე „სამეფო კლუბის“ თავკაცობა „რეალის“ [illegible] მწვრთნელს ჩაანაცვლებს, თუმც „სანტიაგო ბერნაბეუს“ „კიჭას“ ამ ეტაპზე ვანდერლეის მოხსნა შეცდომად მიაჩნია: „ლუშემბურგო [illegible] ნთან გასულ წელს მოვიდა. მას შემდეგ სულ მისი სისტემით ვთამაშობთ და მარტო სამი თუ ოთხი თამაში წავაგეთ. სამწვრთნელო ცვლილებების წინააღმდეგ ვარ, [illegible] ვანდერლეის ვაცალოთ, თავისი პროექტი ბოლომდე მიიყვანოს“.

**ლადო ხომერიკი**

# რივერამ დაცვას შეუტია

**„მილანისა“** და იტალიური ფეხბურთის ლეგენდამ ჯანი რივერამ შავ-წითლების პრობლემებზე ისაუბრა. კარგად მოგეხსენებათ, რომ კარლო ანჩელოტის გუნდმა სეზონი მძიმედ დაიწყო და სათანადო თამაშს ვერ აჩვენებს. რივერას აზრით, ეს არასწორი სატრანსფერ პოლიტიკის ბრალია.

„გუნდს ეს პრობლემები ჯერ კიდევ გასული სეზონის მეორე ნახევარში დაეწყო — ამბობს რივერა — რგოლებს შორის სათანადო კავშირი აღარ არის და საჭიროა, მოთამაშეები ისევ კარგად შეიკრან. „მილანის“ მესვეურებმა სატრანსფერო ბაზარზე შეცდომა დაუშვეს. დაცვის გაძლიერება იყო საჭირო და არა თავდამსხმელების დამატება. ასაკი ყველაზე მოქმედებს, „როსენერის“ უკანა ხაზი კი საკმაოდ მობერებულია. ეგებ ბევრს ეგონა, რომ გასულ სეზონში გუნდი უტიტულოდ ფატალური უიღბლობის გამო დარჩა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქმე სხვა რამეა“.

აქვე შევახსენებთ, რომ [illegible] ლთა სამი წამყვანი მცველი — პაოლო მალდინი, იაპ სტამი და კაფუ — 30 წელს გადაცილებულია, [illegible] მათი შემცვლელები და [illegible] არიან მაინცდამაინც ახალგაზრდები.

**კოკი კანდელაკი**

# დელასი აეკს აეკიდა

**ტრაიანოს დელასი** „რომადან“ ათენის აეკ-ში გადავიდა. 29 წლის მცველს იტალიურ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და აეკ-ს მუქთად ერგო. ფეხბურთელმა ორწლიანი გარიგება გააფორმა.

„რამდენიმე წლის წინ ვთქვი, რომ აეკი ერთადერთი ბერძნული გუნდია, რომელშიც კიდევ ვითამაშებ. — განაცხადა დელასმა — აქ ფანებს ძალიან ვუყვარდი და მეც ამიტომ შემიყვარდა ეს კლუბი“.

ევროპის 2002 წლის ჩემპიონმა კარიერა სალონიკის „არისში“ დაიწყო, საიდანაც „პანსერიაკოსში“ გადავიდა და ორი სეზონის შემდეგ ისევ არისელი გახდა.

1997-ში სალონიკიდან შეფილდს მიაშურა და იქაური „იუნაიტედისთვის“ 1999 წლამდე თამაშა. შეფილდიდან სამშობლოში, [illegible] აეკ-ში გადაბარგდა, 2001-ში კი [illegible] რუჯას“ მაისურა ერთი სეზონით მოირგო. მერე „რომამ“ შეიძინა, სადაც სამი წელი დაჰყო და [illegible] იტალიური „ვიზას“ ამ შემოდგომაზე გაუვიდა ვადა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამქრის სიტყვა

„ფეხბურთელებზე დიდი კრიტიკოსები ფეხბურთელებს არ ჰყავთ" — ეს სიტყვები მსოფლიოს ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, გორდონ ტეილორმა იმიტომ ბრძანა, რომ ეთქვა: რონალდინიო მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშედ, არც მეტი, არც ნაკლები ყველაზე მკაცრმა მსაჯულებმა აირჩიეს. შეგახსენებთ, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 40 ქვეყნის 38 ათასმა ფეხბურთელმა.

ტეილორმა განაგრძო: „მთელი მსოფლიოს მოთამაშეთა რჩეულად დასახელება, უდიდესი და საგანგებო პატივია მართალია ჩვენ ფეხბურთში დამკვიდრებულ ყველა გამოკითხვას დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკუთრივ ფეხბურთელთა გამოკითხვა მაინც განსაკუთრებულია და ბედნიერი ვართ ასეთ რამეს, რომ ჩავყარა საფუძველი".

გუშინდელ „სარბიელში" ეწერა შორთ-ლისტში გასული 55 მოთამაშისგან შერჩეული ის თერთმეტეული, რომელსაც გასული სეზონის სიმბოლური ნაკრები ეწოდება. მასში მოხვედრის პატივი რონალდინიოს თანაგუნდელს, „ბარსას" ფორვარდ კამერუნელ სამუელ ეტოოს ხვდა წილად. ეტოომ თქვა: „ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მსოფლიოს ყველა ფეხბურთელი ერთიანდება და ფეხბურთის დადებითი გავლენის გაზრდას ცდილობს. ფეხბურთის ცუდი გავლენა კი რასიზმია. ჯანდაბას, ჩემთვის მოედანზე გასვლა და სტვენის მოსმენა პრობლემა არ არის, დაჩვეული ვარ, მაგრამ იმ ბიჭებისთვის, რომელთაც ჩემნაირი კანის ფერი აქვთ და ფეხბურთელები არ არიან, უბრალოდ ქუჩებში დადიან, რასიზმი საშიშროებაა".

სიმბოლურ ნაკრებში ეტოოს გარდა მოხვდნენ ზინედინ ზიდანი, მისი ფრანგი კოლეგა კლოდ მაკელელე და მაკელელეს ჩელსელი თანაგუნდელი ფრენკ ლამპარდი, რომელმაც თავისი, მაკელელეს და ჯონ ტერის ამ სიაში მოხვედრა „ჩელსის" გუნდის ყოჩაღობას დაუკავშირა:

„ასეთ საპატიო ჩამონათვალში ყოფნა „ჩელსის" წარმატებაზე მეტყველებს. ჩვენ სიმბოლურ ნაკრებში სამნი ვართ, არადა შეიძლებოდა მეტიც ვყოფილიყავით"

შეგახსენებთ სიმბოლურ ნაკრებს: *(დიდა ბრაზილია, მილანი), კაფუ (ბრაზილია, მილანი), ალესანდრო ნესტა (იტალია, მილანი), ჯონ ტერი (ინგლისი, ჩელსი), პაოლო მალდინი (იტალია, მილანი), ფრენკ ლამპარდი (ინგლისი, ჩელსი), კლოდ მაკელელე (საფრანგეთი, ჩელსი), რონალდინიო (ბრაზილია, ბარსელონა), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, რეალი), სამუელ ეტოო (საფრანგეთი, ბარსელონა), ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, მილანი)*



რონალდინიო საუკეთესოა



# მზეთუნახავი და ურჩხული

ხშირად ცნობილ ფეხბურთელებს ასევე ცნობილი და ლამაზი ან უცნობი მაგრამ მაინც ლამაზი ცოლები ჰყავთ. ხშირად ისინი ამ ცოლებს იცვლიან. კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირიც არაფერია. ცნობილი ფეხბურთელი საჯარო ფიგურაა, სულ ტელეეკრანზეა, რეკლამებში იღებენ, დაჯილდოვების ცერემონიალებზე ინვევენ, ბევრი ფული აქვს (აქედან დაგეწყო შე კაი კაცო, თქო), სპორტსმენია და სავარაუდოდ ტანადაც აღნაგია.... მეტი რა უნდა ცნიბილ, ან თუნდაც არც თუ ცნობილ, მაგრამ მაინც ლამაზ გოგოს? ჰოდა, ერთ-ერთ საინტერნეტო ვებგვერდს, რომელიც ცდილობს ფეხბურთს ვითომ ცუდი, სინამდვილეში კი ორიგინალური მხრიდან შეხედოს, აზრად „მზეთუნახავისა და ურჩხულის" იდეა მოუვიდა. იგულისხმება, რომ... თუმცა, რა იგულისხმება და როგორი ფოტოებიცაა შერჩეული თავად ხედავთ. ჩვენ მოდი, ვიხალისოთ, აბა სულ შეჭმუხნულები ხომ არ ვიქნებით



ფაბიენ ბარტეზი და ლინდა ევანჯელისტა



ლუიშ და ჰელენ ფიგუები



ალესანდრო დელ პიერო და პალერია მარინი



ტონი და კაპრის ადამსები



კრისტიან და ადრიანა კარემბეუები



მეტ ლე ტისეე და ემილი საიმონსი



პრედრაგ მიატოვიჩი და კარენ მიულდერი



რონალდო და მილენა დომინგეში



ფრანჩესკო ტოტი და ილარი ბლაზი

### გერმანია. I ბუნდესლიგა
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 96 | ნიურნბერგი-შალკე | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 22:00 | 97 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:00 | 98 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:00 | 99 | ჰერტა-დუისბურგი | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| 22:00 | 100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 114 | პადერბორნი-ფიურტი | 2.00 | 3.30 | 3.00 | 1.24 | 1.20 | 1.57 |
| 19:30 | 115 | ბურგჰაუზენი-კოტბუსი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 19:30 | 116 | აუე-ზაარბრიუკენი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 19:30 | 117 | ალემანია-ალენი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 129 | ვერდერი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 19:15 | 130 | ჰამბურგი(მ)-ჰერტა(მ) | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 19:30 | 131 | ემდენი-ობერჰაუზენი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:30 | 132 | კიოლნი(მ)-ქემნიცი | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 21:30 | 133 | ერფურტი-ვუპერტალი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 21:30 | 134 | ესენი-იენა | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| 21:30 | 135 | ვატენშეიდი-კილი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 21:30 | 136 | ლიუბეკი-დიუსელდორფი | 1.45 | 3.50 | 5.70 | 1.02 | 1.15 | 2.16 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 147 | კარლსრუე(მ)-დარმშტადი | 2.95 | 3.10 | 2.10 | 1.51 | 1.22 | 1.25 |
| 21:00 | 148 | ფულენდორფი-კობლენცი | 2.90 | 3.10 | 2.10 | 1.49 | 1.21 | 1.25 |
| 21:00 | 150 | ტრირი-მიუნხენი1860(მ) | 2.30 | 3.10 | 2.60 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 21:00 | 151 | ვეენი-ბაირატი | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 21:00 | 152 | რეგენსბურგი-ეშბორნი | 1.75 | 3.40 | 3.65 | 1.15 | 1.18 | 1.76 |
| 21:00 | 153 | აალენი-აუგსბურგი | 2.95 | 3.10 | 2.10 | 1.51 | 1.22 | 1.25 |
| 21:00 | 154 | ბაიერნი(მ)-ელვერსბერგი | 1.90 | 3.20 | 3.30 | 1.19 | 1.20 | 1.62 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 164 | აუსტრია-ადმირა | 1.35 | 4.40 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.70 |
| 21:30 | 165 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 21:30 | 166 | ზალცბურგი-გრაცერი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:30 | 167 | ტიროლი-რიდი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |

### შვეიცარია. სუპერლიგა
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 184 | აარაუ-ციურიხი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| 21:30 | 186 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 21:30 | 187 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:30 | 188 | შაფჰაუზენი-თუნი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |

**22 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 185 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |

### იტალია. სერია A
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 204 | კიევო-ინტერი | 4.70 | 3.20 | 1.75 | 1.90 | 1.27 | 1.13 |
| 22:30 | 205 | ემპოლი-კალიარი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 22:30 | 206 | ასკოლი-სიენა | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 22:30 | 207 | მესინა-ლივორნო | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:30 | 208 | მილანი-ლაციო | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 22:30 | 209 | პალერმო-რეჯინა | 1.45 | 3.70 | 7.20 | 1.04 | 1.20 | 2.44 |
| 22:30 | 210 | რომა-პარმა | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 22:30 | 211 | ტრევიზო-სამპდორია | 3.40 | 2.90 | 2.20 | 1.56 | 1.33 | 1.25 |
| 22:30 | 212 | უდინეზე-იუვენტუსი | 3.90 | 3.10 | 1.95 | 1.72 | 1.29 | 1.19 |
| 22:30 | 213 | ლეჩე-ფიორენტინა | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |

### იტალია. სერია B
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 233 | კრემონეზე-ტრიესტინა | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.56 |
| 22:30 | 234 | რიმინი-ვერონა | 2.15 | 2.70 | 3.30 | 1.19 | 1.30 | 1.48 |

### იტალია. სერია C1/A
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 246 | სპეცია-სალერნიტანა | 2.20 | 2.70 | 3.30 | 1.21 | 1.32 | 1.48 |

### ესპანეთი. I დივიზიონი
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 23:00 | 266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 23:00 | 267 | დეპორტივო-ბეტისი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 23:00 | 268 | მალაგა-ალავესი | 2.00 | 3.10 | 3.75 | 1.21 | 1.30 | [illegible] |
| 23:00 | 270 | რასინგი-ესპანიოლი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:00 | 271 | სევილია-კადისი | 1.60 | 3.40 | 5.60 | 1.08 | 1.24 | [illegible] |
| 23:00 | 272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| 23:00 | 273 | ვილიარეალი-სელტა | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:00 | 274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

**22 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 269 | რეალი-ბილბაო | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 296 | ტულუზი-მარსელი | 2.80 | 2.80 | 2.55 | 1.39 | 1.33 | 1.33 |
| 22:30 | 297 | ტრუა-მონაკო | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 22:30 | 298 | რენი-ბორდო | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | [illegible] |
| 22:30 | 299 | სოშო-ნანტი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 22:30 | 300 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 22:30 | 301 | აიაჩო-სტრასბური | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 22:30 | 302 | მეცი-ოსერი | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | [illegible] |
| 22:30 | 303 | ნიცა-ლე მანი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 22:45 | 304 | პსჟ-ლილი | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.70 |

**22 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 305 | ლიონი-ლანსი | 1.55 | 3.30 | 6.50 | 1.05 | 1.25 | 2.18 |

### ბელგია. I დივიზიონი
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 329 | ლუვიე-გენკი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 22:30 | 330 | სტანდარდი-ბრიუგე | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 22:30 | 331 | ვესტერლო-ლიერსი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:30 | 332 | ვარეგემი-მუსკრონი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | [illegible] | 1.77 |
| 22:30 | 333 | ლოკერენი-ბევერენი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | [illegible] | [illegible] |
| 22:30 | 334 | სერკლი-ბეერსხოტი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | [illegible] |
| 22:30 | 335 | ანდერლეხტი-რუზელარე | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 354 | აიაქსი-დენ ჰააგი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | [illegible] |

### პორტუგალია. I დივიზიონი
**21 სექტემბერი**

| Time | № | Match | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 383 | ავეში-გონდომარი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | [illegible] |
| 19:00 | 384 | შავეში-ეშტორილი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | [illegible] |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 480 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 481 | ჰორსენსი-ორჰუსი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| 21:00 | 482 | ოლბორგი-სიონდერიისკე | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 21:00 | 483 | ესბიერგი-ვიბორგი | 2.25 | 3.40 | 2.80 | 1.35 | 1.24 | 1.53 |
| 21:00 | 484 | სილკებორგი-ნორდსიელანდი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 485 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 492 | ვეილე-რანდერსი | 3.00 | 3.60 | 1.95 | 1.63 | 1.18 | 1.26 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:05 | 528 | ატვიდაბერგი-აიკ | 3.20 | 3.40 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 537 | ტპ 47-ტურკუ | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 20:00 | 539 | ტამპერე-კტპ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:00 | 540 | მარიეჰამნი-ინტერი | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 561 | კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 2.65 | 3.10 | 2.30 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 562 | დალასი-ლოს ანჯელესი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 563 | სან ხოსე-ჩიკაგო | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:45 | 564 | კოლორადო-სოლტ ლეიკი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 589 | ფორტალესა-ინტერნასიონალი | 2.05 | 3.30 | 2.90 | 1.26 | 1.20 | 1.54 |
| 23:45 | 590 | გოიასი-პაისანდუ | 1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |
| 23:45 | 591 | პარანა-ბრაზილიენსე | 1.60 | 3.40 | 4.75 | 1.08 | 1.19 | 1.98 |
| 23:45 | 592 | სან კაეტანო-ფიგეირენსე | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 593 | სანტოსი-პალმეირასი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 23:45 | 594 | ფლუმინენსე-ფლამენგო | 1.95 | 3.30 | 3.15 | 1.22 | 1.20 | 1.61 |
| 23:45 | 595 | კრუზეირო-სან პაულუ | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 596 | კორინთიანსი-ატლეტიკო მნ | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 23:45 | 597 | ატლეტიკო პრ-ბოტაფოგო | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 23:45 | 598 | ჟუვენტუდი-კურიტიბა | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |
| 23:45 | 599 | ვასკუ და გამა-პონტე პრეტა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 611 | სერიტო-ნასიონალი | 6.30 | 4.00 | 1.40 | 2.44 | 1.14 | 1.03 |
| 22:30 | 612 | სერო-უონდერერსი | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |
| 22:30 | 613 | დანუბიო-დეფენსორი | 2.05 | 3.30 | 2.95 | 1.26 | 1.20 | 1.55 |
| 22:30 | 614 | კოლონია-როჩა | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 22:30 | 615 | ლივერპული-პაისანდუ | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 22:30 | 616 | მირამარი-ტაკუარემბო | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 618 | რამპლა-პლასა | 1.65 | 3.30 | 4.30 | 1.10 | 1.19 | 1.86 |
| 22:30 | 619 | რენტისტასი-რივერ პლეიტი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 620 | აუდაქსი-რეინჯერსი | 1.75 | 3.30 | 3.95 | 1.14 | 1.21 | 1.79 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 648 | ბლექბერნი-ჰადერსფილდი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 22:45 | 651 | დონკასტერი-სიტი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 22:45 | 652 | ფულემი-ლინკოლნი | 1.25 | 5.00 | 8.30 | 1.00 | 1.08 | 3.12 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 654 | სელტიკი-ფოლკირკი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 22:45 | 658 | ეარი-ჰიბერნიანი | 7.00 | 4.80 | 1.30 | 2.84 | 1.09 | 1.02 |
| 22:45 | 660 | ლივინგსტონი-ჰართსი | 6.70 | 4.60 | 1.30 | 2.72 | 1.08 | 1.01 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 705 | კაენი-ვალენსიენესი | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 22:00 | 706 | ნიორი-სედანი | 2.85 | 2.90 | 2.30 | 1.43 | 1.27 | 1.28 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 12:00 | 688 | ლოკომოტივი ჩიტა-ალანია | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 662 | ბ 93-კოლდინგი | 6.50 | 4.20 | 1.40 | 2.55 | 1.15 | 1.04 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 716 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 717 | მოლდე-ჰიონეფოსი | 1.50 | 4.00 | 5.30 | 1.09 | 1.16 | 2.27 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 663 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 707 | მოლოტი-ს.იულაევი | 3.50 | 4.50 | 1.60 | 1.96 | 1.09 | 1.18 |
| 18:30 | 708 | აკ ბარსი-დინამო | 1.85 | 4.50 | 2.70 | 1.31 | 1.09 | 1.68 |
| 18:30 | 709 | ლოკომოტივი-სიბირი | 1.25 | 5.50 | 6.00 | 1.01 | 1.03 | 2.86 |
| 18:30 | 710 | ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.80 | 4.60 | 1.80 | 1.74 | 1.09 | 1.29 |
| 18:30 | 711 | სევერსტალი-მვდ | 1.50 | 4.60 | 4.00 | 1.13 | 1.09 | 2.13 |
| 18:30 | 712 | ასკ-ვიტიაზი | 1.35 | 5.00 | 4.60 | 1.06 | 1.04 | 2.39 |
| 18:30 | 713 | სპარტაკი-ნოვოკუზნეცკი | 2.60 | 4.60 | 1.85 | 1.66 | 1.08 | 1.31 |
| 18:30 | 714 | ცსკა-ლადა | 2.55 | 4.60 | 1.90 | 1.64 | 1.08 | 1.34 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 715 | ავანგარდი-ხიმიკი | 1.40 | 5.10 | 4.50 | 1.09 | 1.06 | 2.39 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16096 | ნიურნბერგი-ჰალე | 2.60 | 1.35 |
| 16097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.60 | 2.10 |
| 16098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.15 | 3.40 |
| 16099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.08 | 4.50 |
| 16100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.20 | 3.30 |
| 16204 | კიევო-ინტერი | 2.50 | 1.25 |
| 16205 | ემპოლი-კალიარი | 1.50 | 2.00 |
| 16206 | ასკოლი-სიენა | 1.55 | 2.00 |
| 16207 | მესინა-ლივორნო | 1.60 | 2.00 |
| 16208 | მილანი-ლაციო | 1.06 | 4.50 |
| 16209 | პალერმო-რეჯინა | 1.10 | 4.60 |
| 16210 | რომა-პარმა | 1.12 | 3.60 |
| 16211 | ტრევისო-სამპდორია | 2.00 | 1.50 |
| 16212 | უდინეზე-იუვენტუსი | 2.40 | 1.30 |
| 16213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.90 | 1.55 |
| 16265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.15 | 3.80 |
| 16266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.35 | 2.50 |
| 16267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.45 | 2.30 |
| 16268 | მალაგა-ალავესი | 1.35 | 2.40 |
| 16269 | რეალი-ბილბაო | 1.06 | 4.60 |
| 16270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.60 | 1.90 |
| 16271 | სევილია-კადისი | 1.15 | 3.30 |
| 16272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 16273 | ვილიარეალი-სელტა | 1.25 | 3.20 |
| 16274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.30 | 2.60 |

## გოლი: კენტი-1, ლუწი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17096 | ნიურნბერგი-ჰალე | 1.85 | 1.95 |
| 17097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17204 | კიევო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ემპოლი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ასკოლი-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | მესინა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17208 | მილანი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17209 | პალერმო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17210 | რომა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ტრევისო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17212 | უდინეზე-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17268 | მალაგა-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17269 | რეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17271 | სევილია-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ვილიარეალი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12096 | ნიურნბერგი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 2.10 | 1.50 |
| 12099 | ჰერტა-დუისბურგი | 2.00 | 1.55 |
| 12100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.10 | 1.55 |
| 12204 | კიევო-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 12205 | ემპოლი-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12206 | ასკოლი-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12207 | მესინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12208 | მილანი-ლაციო | 1.90 | 1.70 |
| 12209 | პალერმო-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 12210 | რომა-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12211 | ტრევიზო-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12212 | უდინეზე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12268 | მალაგა-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12269 | რეალი-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 12270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12271 | სევილია-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12273 | ვილიარეალი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14096 | ნიურნბერგი-შალკე | 2.30 | 1.65 |
| 14097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.70 | 2.10 |
| 14098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.30 | 2.50 |
| 14099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.30 | 2.50 |
| 14204 | კიევო-ინტერი | 2.40 | 1.40 |
| 14205 | ემპოლი-კალიარი | 1.80 | 2.00 |
| 14206 | ასკოლი-სიენა | 1.75 | 2.10 |
| 14207 | მესინა-ლივორნო | 1.80 | 2.00 |
| 14208 | მილანი-ლაციო | 1.20 | 2.50 |
| 14209 | პალერმო-რეჯინა | 1.20 | 2.50 |
| 14210 | რომა-პარმა | 1.30 | 2.40 |
| 14211 | ტრევიზო-სამპდორია | 2.00 | 1.80 |
| 14212 | უდინეზე-იუვენტუსი | 2.30 | 1.65 |
| 14213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.90 | 1.90 |
| 14265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.35 | 2.50 |
| 14266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.55 | 2.30 |
| 14267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.65 | 2.20 |
| 14268 | მალაგა-ალავესი | 1.60 | 2.10 |
| 14269 | რეალი-ბილბაო | 1.20 | 2.50 |
| 14270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 14271 | სევილია-კადისი | 1.30 | 2.40 |
| 14272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 14273 | ვილიარეალი-სელტა | 1.40 | 2.40 |
| 14274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.55 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13204 | კიევო-ინტერი | [illegible] | [illegible] |
| 13205 | ემპოლი-კალიარი | [illegible] | [illegible] |
| 13206 | ასკოლი-სიენა | 1.70 | [illegible] |
| 13207 | მესინა-ლივორნო | 1.70 | [illegible] |
| 13208 | მილანი-ლაციო | 1.70 | [illegible] |
| 13209 | პალერმო-რეჯინა | [illegible] | [illegible] |
| 13210 | რომა-პარმა | 1.70 | [illegible] |
| 13211 | ტრევიზო-სამპდორია | 1.70 | [illegible] |
| 13212 | უდინეზე-იუვენტუსი | 1.70 | [illegible] |
| 13213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.70 | [illegible] |
| 13265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.70 | [illegible] |
| 13266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.70 | [illegible] |
| 13267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.70 | [illegible] |
| 13268 | მალაგა-ალავესი | 1.70 | [illegible] |
| 13269 | რეალი-ბილბაო | 1.70 | [illegible] |
| 13270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | [illegible] |
| 13271 | სევილია-კადისი | 1.70 | [illegible] |
| 13272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.70 | [illegible] |
| 13273 | ვილიარეალი-სელტა | 1.70 | [illegible] |
| 13274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.70 | [illegible] |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15096 | ნიურნბერგი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ჰერტა-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | კიევო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | ემპოლი-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | ასკოლი-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | მესინა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | მილანი-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | პალერმო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | რომა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ტრევიზო-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | უდინეზე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ლეჩე-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | ბარსელონა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15266 | ხეტაფე-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | დეპორტივო-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | მალაგა-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | რეალი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15270 | რასინგი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15271 | სევილია-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15273 | ვილიარეალი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15274 | სარაგოსა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11096 ნიურნბერგი-შალკე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11097 შტუტგარტი-ჰამბურგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11098 ლევერკუზენი-კიოლნი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11099 ჰერტა-დუისბურგი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11100 კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11204 კიევო-ინტერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11205 ემპოლი-კალიარი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11206 ასკოლი-სიენა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11207 მესინა-ლივორნო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11208 მილანი-ლაციო | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11209 პალერმო-რეჯინა | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11210 რომა-პარმა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11211 ტრევიზო-სამპდორია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11212 უდინეზე-იუვენტუსი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11213 ლეჩე-ფიორენტინა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11265 ბარსელონა-ვალენსია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11266 ხეტაფე-მალიორკა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11267 დეპორტივო-ბეტისი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11268 მალაგა-ალავესი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11269 რეალი-ბილბაო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11270 რასინგი-ესპანიოლი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11271 სევილია-კადისი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11272 სოსიედადი-ატლეტიკო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11273 ვილიარეალი-სელტა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11274 სარაგოსა-ოსასუნა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10096 | ნიურნბერგი-შალკე | 4.00 | 2.00 | 2.35 | 1.33 | 1.48 | 1.08 |
| 10097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2.60 | 2.00 | 3.45 | 1.13 | 1.48 | 1.26 |
| 10098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.95 | 2.00 | 5.60 | 1.00 | 1.44 | 1.47 |
| 10099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.70 | 2.30 | 6.20 | 1.00 | 1.33 | 1.67 |
| 10100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.95 | 2.10 | 5.00 | 1.01 | 1.40 | 1.47 |
| 10204 | კიევო-ინტერი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10205 | ემპოლი-კალიარი | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10206 | ასკოლი-სიენა | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10207 | მესინა-ლივორნო | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10208 | მილანი-ლაციო | 1.55 | 2.50 | 6.00 | 1.00 | 1.23 | 1.76 |
| 10209 | პალერმო-რეჯინა | 1.70 | 2.30 | 5.80 | 1.00 | 1.31 | 1.64 |
| 10210 | რომა-პარმა | 1.85 | 2.20 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.55 |
| 10211 | ტრევიზო-სამპდორია | 4.00 | 2.00 | 2.40 | 1.33 | 1.50 | 1.09 |
| 10212 | უდინეზე-იუვენტუსი | 4.50 | 2.00 | 2.25 | 1.38 | 1.50 | 1.05 |
| 10213 | ლეჩე-ფიორენტინა | 3.80 | 2.00 | 2.55 | 1.31 | 1.52 | 1.12 |
| 10265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.85 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.57 |
| 10266 | ხეტაფე-მალიორკა | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10267 | დეპორტივო-ბეტისი | 2.45 | 2.00 | 3.75 | 1.10 | 1.48 | 1.30 |
| 10268 | მალაგა-ალავესი | 2.35 | 2.00 | 4.20 | 1.08 | 1.50 | 1.35 |
| 10269 | რეალი-ბილბაო | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |
| 10270 | რასინგი-ესპანიოლი | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10271 | სევილია-კადისი | 1.85 | 2.20 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.55 |
| 10272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10273 | ვილიარეალი-სელტა | 2.05 | 2.00 | 5.10 | 1.01 | 1.46 | 1.43 |
| 10274 | სარაგოსა-ოსასუნა | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |

## ქართუს თასი. თიხნარი საპრიზო 25 000 $

| 1/16 | | 1/8 — გამარჯვებული | ანგარიში |
|---|---|---|---|
| ტატიანა უვაროვა (1, ბელარუსი) | ნატალია ბოგდანოვა (კვ. უკრაინა) | უვაროვა | 6:4 6:2 |
| ირინა კოტკინა (რუსეთი) | ნანა უროტაძე (საქართველო) | კოტკინა | 6:2 7:6 (7:4) |
| ვერონიკა კაპშაი (კვ. უკრაინა) | სარა ერანი (იტალია) | კაპშაი | 7:6 (7:2) 6:2 |
| სოფო ქვაცაბაია (საქართველო) | ოლგა პანოვა (რუსეთი) | პანოვა | 1:6 6:3 6:0 |
| ვასილისა ბარდინა (3, რუსეთი) | ევგენია როდინა (რუსეთი) | ბარდინა | 2:6 6:1 6:3 |
| კრისტინა გრიგორიანი (კვ. რუსეთი) | მარია გეზნენგე (ბულგარეთი) | გეზნენგე | 6:0 6:1 |
| ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) | ტატიანა კაპშაი (კვ. ბელარუსი) | ტიმოტიჩი | 6:1 6:1 |
| ანა ლაპუშენკოვა (კვ. რუსეთი) | მაკა ჩახნაშვილი (6, საქართველო) | ჩახნაშვილი | 6:4 6:0 |
| ნადეჟდა ოსტროვსკაია (5, ბელარუსი) | პემრა ოზგენი (თურქეთი) | ოსტროვსკაია | 6:2 3:6 6:1 |
| ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი) | ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) | ტეპლიაკოვა | 6:0 7:6 (7:3) |
| ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხეთი) | ანჟელიკა როეში (გერმანია) | ჰლავაჩკოვა | 6:3 6:2 |
| სოფო შაფათავა (კვ. საქართველო) | ეკატერინა ძეჰალევიჩი (4, ბელარუსი) | ძეჰალევიჩი | 6:4 6:0 |
| კაროლინა კოსინსკა (7, პოლონეთი) | კრისტინა ანტონიჩუკი (კვ. უკრაინა) | ანტონიჩუკი | 6:2 6:4 |
| მარინა შამაიკო (რუსეთი) | ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა) | ლიუბცოვა | 6:2 6:3 |
| ელენა კულიკოვა (რუსეთი) | ვოჟისლავა ლუკიჩი (კვ. სერბეთი) | კულიკოვა | 2:6 6:2 6:2 |
| მადალინა გოჯნეა (რუმინეთი) | სანდრა ზაჰლავოვა (2, ჩეხეთი) | ზაჰლავოვა | 7:6 (7:3) 6:2 |

1/4 1/2

# ქართუს არაქართული დასაწყისი


გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

მაკა ჩახნაშვილი

**„ქართუს თასის“** ოცდათორმეტი მონაწილედან გუშინ თექვსმეტი საუკეთესო გაირკვა. მათში მხოლოდ ერთი ქართველია. მე-6 ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპის გადამლახავ რუს ანა ლაპუშნიკოვას აჯობა, დანარჩენი სამი ჩვენებური კი პირველ წრეს ვერ გასცდა.

პირველი კორტზე 16 წლის სოფო ქვაცაბაია გავიდა. მისი მეტოქე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორდღიან ბრძოლაში მანანა შაფაქიძის მძლეველი ოლგა პანოვა იყო. ამ რუსმა გოგომ ქართველი ქომაგის უსაყვარლესი ჩოგბურთელის დამარცხების შემდეგ მართალია, სოფო შაფათავასთან წააგო და ძირითადი ბადის საგზურის გარეშე დარჩა, მაგრამ მოულოდნელად ძირითადში ადგილი გამოთავისუფლდა და [illegible] შედეგად პანოვა ყველაზე იღბლიანი წაგებული აღმოჩნდა.

სიურპრიზი რუსმა მშვენივრად გამოიყენა და მერვედფინალსაც უწია. არადა, მისი და ქვაცაბაიას შეხვედრა ისე დაიწყო, საჩვენო შედეგის იმედი გაგვიჩნდა. პირველ სეტში ქართველმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრა — 6:1, თუმც მერე შეცდომებს უმატა, პანოვამ კი საკუთარი ძალების ირწმუნა და ზედმეტი ნერვიულობის გარეშე იმარჯვა.

ნანა უროტაძისა და რუსი ირინა კოტკინას შეხვედრა ორ სეტში დასრულდა, თუმც სულ ადვილად შეიძლებოდა, მერვედფინალისტის გამოსავლენად გადამწყვეტი სეტი გამხდარიყო საჭირო. პირველი სეტის ადვილად მოგების შემდეგ (6:2) მეორეში კოტკინამ ტაიბრეიკში გაინაღდა საგზური.

მაკა ჩახნაშვილმა და სოფო შაფათავამ თამაში ორ მეზობელ კორტზე თითქმის ერთდროულად დაიწყეს და გულშემატკივრებს ერთდროულად ორი ქართველის ქომაგობის შანსი მიეცათ. სამწუხაროდ, შაფათავამ ტურნირის მეოთხე ნომერ ბელარუსთან ეკატერინა ძეჰალევიჩთან მალევე წააგო 4:6, 0:6. ჩახნაშვილმა ლაპუშნიკოვას ზუსტად ასეთივე ანგარიშით სძლია, თუმც ცოტა მოგვიანებით.

დღეს მერვედფინალები გაიმართება. ჩახნაშვილი ცენტრალურ კორტზე 10 საათზე სერბ ანა ტიმოტიჩს დაუპირისპირდება. ამ სერბმა გუშინ ბელარუს ტატიანა კაპშაის დაამარცხა ჩოგანი 6:1 6:1.

**ოთარ მაღლაკელიძე**



რაფაელ ნადალი

# ჯამაათმა, ეგ რა ჩაგიცვიაო



სანია მირზას ემუქრებიან

**ამ** დღეებში სხვადასხვა ქვეყანაში ჩოგბურთელთა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. პეკინში დასრულებულ 500 000-დოლარიან ტურნირზე ესპანელმა რაფაელ ნადალმა ფინალში სძლია არგენტინელ გილერმო კორიას — 5:7 6:1 6:2

ბალიშიც დამთავრდა WTA ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 225 ათასი დოლარი იყო. ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა ფინალში სძლია იტალიელ ფრანჩესკო სკიავონეს — 6:2 6:4.

ამ ტურნირის მონაწილე მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელ სანია მირზას ტურნირის ორგანიზატორებმა გაძლიერებული დაცვა გამოუყვეს. 18 წლის ინდოელ სპორტსმენს რადიკალურად განწყობილმა ისლამური დაჯგუფების წარმომადგენლებმა მუქარა შეუთვალეს.

„ჯამაათ უ ელემ ე ჰინდი“-ს წევრები ვერ ურიგდებიან სანი მირზას საჩოგბურთო ჩაცმულობას, რაც, მათი აზრით, მუსულმანურ წეს-ჩვეულებებს არ შეესაბამება. ამიტომაც ამ ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, თუ მირზა თავის ჩაცმულობას არ გამოიცვლის, „ჩვენ მას შევაჩერებთ“-ო.

თავად მირზამ კი განაცხადა, არავისი საქმე არ არის, მე რას და როგორ ჩავიცმევ და ამის თაობაზე არც არავის შევუთანხმდებიო.



ლინდსი დევენპორტი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

### 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

ჩემპიონატზე ითამაშებენ: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ სვიდლერი (რუსეთი), იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)

# ტოპალოვი, მარადონა, ფეხბურთი



ტოპალოვს ჭადრაკის გარდა ფეხბურთიც უყვარს

**მსოფლიოს** ჩემპიონატზე რეიტინგით მეორე ბულგარელი ვესელინ ტოპალოვია. დიდოსტატი, რომელსაც მეტსახელად ბულგარელ სტომატოლოგს უწოდებენ, ყოველთვის სტაბილური თამაშით გამოირჩევა და შეჯიბრის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

ვესელინი 1975 წლის 15 მარტს, ბულგარულ ქალაქ რუზში დაიბადა და ბავშვობიდან კარგად თამაშობდა ჭადრაკს. ტოპალოვი სხვა მოჭადრაკეებისგან დიდი თეორიული მომზადებით გამოირჩევა და აგრესიული თამაში უყვარს. 2000 წელს იგი ფიდეს ჩემპიონატში ნახევარფინალამდე მივიდა, თუმც იქ მომავალ ჩემპიონ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვთან დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ ტოპალოვმა თებერვალში ლინარესის სუპერტურნირზე თვით პლანეტის ნომერ პირველ მოჭადრაკეს გარი კასპაროვს ბოლო მატჩი მოუგო და მასთან ერთად პირველი ადგილს დაეუფლა. ფიდეს რეიტინგში ბულგარელი მესამე ადგილზეა.

ქვემოთ გთავაზობთ ათ შეკითხვას, რომელსაც ტრადიციულად ჩემპიონატის მონაწილე დიდოსტატებს უსვამენ.

**— რას ელოდებით ამ შეჯიბრისგან?**

— ბედნიერი ვარ, რომ ამ ისტორიულ ტურნირში მიმიწვიეს და მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებ.

**— როგორ შეფასებას აძლევთ ამ შეჯიბრების დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?**

— ვფიქრობ რომ ეს არის საუკეთესო და საჭირო სისტემა. აქ მარტო იღბალი ვერ გიშველის და გამარჯვებული ღირსეული უნდა იყოს.

**— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?**

— ყველა სახიფათოა. რომელიმე აუცილებლად მოიგებს.

**— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?**

— ამ საიდუმლოს ვერ გაგიმხელთ, მაგრამ გეტყვით, რომ დიდხანს ვემზადებოდი.

**— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?**

— სან-ლუისში ჩემს საუკეთესო სვლებს გამოვიყენებ და ალბათ წარმატებასაც მივაღწევ.

**— ვინ მოიგებს შეჯიბრს?**

— ღირსეული. წინასწარ პროგნოზებს ვერ ვაკეთებ.

**— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ, ეს თუ განსხვავდება მათგან?**

— რა თქმა უნდა, ეს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია და ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრი, ჩემს სპორტულ ცხოვრებაში.

**— მაყურებელი ბევრ სიახელს ნახავს?**

— დიახ და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დიდად ისიამოვნებენ ამით.

**— რას არ გამოტოვებს მაყურებელი?**

— შეგახსენებთ, რომ აქ პლანეტის რვა საუკეთეს დიდოსტატი შევიკრიბეთ და ყველანი პირველობისთვის ვიბრძოლებთ. მაყურებელს ვპირდებით, რომ ყველაფერი საინტერესო იქნება.

**— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?**

— მარადონა, ფეხბურთი.

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

### იტალია. სენტ-ვისენტი. 18-24 სექტემბერი

**II ტური**

ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| ბიელი (შვეიცარია) | 1:5 | ია თბილისი (საქართველო) |
| 1 დაფა. ოგნიენ კვიტანი (ხორვატია) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| 2 იოზეფ გალაჰერი (შვეიცარია) | 0,5:0,5 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) |
| 3 კლაუდე ლანდერბერგი (შვეიცარია) | 0:1 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) |
| 4 ალექსანდრე დომონტი (შვეიცარია) | 0:1 | გიორგი გიორგაძე (საქართველო) |
| 5 ივან მასერი (შვეიცარია) | 0:1 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| 6 დიდიე ლეუბა (შვეიცარია) | 0:1 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) |

ქალები

| | | |
|---|---|---|
| ნტნ თბილისი (საქართველო) | 2:2 | ავს (რუსეთი) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) |
| ანა მათნაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) |
| თამარ წერეთელი (საქართველო) | 0:1 | ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) |

# ნტნ ავს დაუზავდა, მაიამ კი მსოფლიოს მოუგო



ლომინეიშვილმა სტეფანოვას 46 სვლაში მოუგო

**ჩვენი მოჭადრაკეები** წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას.

ვაჟთა გუნდმა „ია თბილისმა“, შავი ფიგურებით შვეიცარიული „ბიელი“ გაანადგურა 5:1 და ჩემპიონობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ყაიმით დაასრულეს შეხვედრა I და II დაფაზე მოთამაშე იზორიამ და მჭედლიშვილმა, ხოლო გაგუნაშვილმა, გიორგაძემ, ფანცულაიამ და გაფრინდაშვილმა იოლად იმარჯვეს. „ია თბილისი“ ცხრილში 9,5 ქულით მეოთხე ადგილზეა და წინ სამი რუსული კლუბი უსწრებს.

ჩვენი მანდილოსნები ჩემპიონატის მთავარ ფავორიტ რუსულ „ავს“ დაუზავდნენ და ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფებიან.

მძიმე შეხვედრა მოიგო მაია ლომინეიშვილმა. იგი მსოფლიოს ჩემპიონ ბულგარელ ანტოანეტა სტეფანოვას დაუპირისპირდა და დებიუტში ლაზიერის გამბიტი გაითამაშა.

მოჭადრაკეები ფიგურებს განვითარებას შეუდგნენ. მე-11 სვლაზე სტეფანოვამ როქი გააკეთა და მხედრით შეუტია ქართველს. მაიამ ბულგარელის იერიში იოლად მოიგერია, მარცხენა მხრიდან ფიგურები გამოიყვანა და შავებს საპასუხოდ შეუტია. სტეფანოვამაც ვერ რადლება ამ ფლანგზე გადმოიტანა, მძიმე ძალები დაქოქა და დაწოლა გააძლიერა. ლომინეიშვილმა მეორე შემოტევასაც იოლად გაართვა თავი, მეტიც, ორი პაიკი აიღალა მის და მარჯვნიდან ლაზიერით დაარტყა. ამ იერიშმა სტეფანოვა დააბნია, რის გამოც მრავალი შეცდომა დაუშვა და 46-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

სამწუხაროდ, დამარცხდა 20 წლის თამარ წერეთელი. მან უკრაინელს, ყოფილ 2000 წლის ჩემპიონ ნატალია ჟუკოვას დაუთმო ქულა. მათი შეხვედრაც 46 სვლა გაგრძელდა.

**ლაშა ბეგეჭკორი**

**მძლეოსნობა**

# ელენამ ისევ გაგვაოცა

**ელენა** ისინბაევასგან ისე მივეჩვიეთ ჭოკით ხტომაში მსოფლიოს რეკორდების დამყარებას, რომ ასეთი შედეგის გარეშე დასრულებულ ასპარეზობას მისგან უკვე წარუმატებლობად მივიჩნევთ. მაგრამ აი, ისინბაევამ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ წლევანდელი სეზონის საუკეთესო მძლეოსან ქალად ზედიზედ მეორედ აღიარეს, იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში გამართულ „მძლეოსანთა სუპერშეხვედრაში“ არათუ სარეკორდო სიმაღლე, არამედ დაწყებითიც ვერ დაძლია. მან შეჯიბრება დაიწყო 4,50 მეტრზე გადებული თამასიდან მაშინ, როცა ყველა მისმა მეტოქემ გამოსვლა და-



ასრულა. მათგან საუკეთესო შედეგი 4,10 მეტრი იყო, მაგრამ რუსმა სპორტსმენმა ხუთივე ცდაზე კრახი განიცადა და ვერაფრით გადალახა დაწყებითი სიმაღლე.

— ძალიან დავიღალე. მე ძალიან ბევრ შეჯიბრებაში გამოვედი. მოვიგე მსოფლიოს ზაფხულისა და ევროპის ზამთრის ჩემპიონატები, დავამყარე ბევრი მსოფლიოს რეკორდი. დღეს ვცდილობდი მეჩვენებინა ჩემი საუკეთესო შედეგი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიე. ასეთი რამ პირველად დამემართა, როცა ვერ შევძელი 4,5-მეტრის დაძლევა. და ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივ ასპარეზობას 4,60 ან 4,70 მეტრიდან ვიწყებ. არა, მე მართლაც დავიღალე. ამიტომაც დავიწყე 4,5-დან — თქვა ისინბაევამ.

ასე რომ, ისინბაევამ კიდევ ერთხელ გაგვაოცა, ამჯერად წარუმატებლობით.

**ოლიმპიზმი**

# ტოკიო ბრძოლას აპირებს

**იაპონიის** დედაქალაქი აპირებს 2016 წლის ან მომდევნო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლას. გუშინ ამის თაობაზე განაცხადა ტოკიოს გუბერნატორმა სინტარო ისიხარამ. მისი თქმით იაპონიის დედაქალაქის ხელისუფალნი, რომლებმაც მხოლოდ ერთხელ მიიღეს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები (1964 წელს), 1 ოქტომბერს დანიშნავენ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც დაეკისრება მიზნის მისაღწევად კამპანიის მეთაურობა. ხოლო, იმავე თვის ბოლოს შეიქმნება საგანაცხადო კომიტეტიც.

აქამდე ტოკიოს გუბერნატორი ამბობდა, რომ იაპონიის დედაქალაქი 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებსო.

ტოკიოს ქვეყნის შიგნითაც ჰყავს კონკურენტები. ეს არის იაპონიის უკიდურესი ჩრდილოეთის პრეფექტურა ხოკაიდოს ადმინისტრაციული ცენტრი საპორო. ამ ქალაქმა ერთხელ უკვე უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს, ოღონდ ზამთრისას.

ტოკიოს მასპინძლობაში ეცილება აგრეთვე იაპონიის სამხრეთის კუნძულ კიუსიუზე მდებარე ფუკუოკაც, რომელიც ქვეყნის ქალაქთა შორის ყველაზე ხელსაყრელ საცხოვრებელ ადგილად ითვლება.

# როცა ლანგარზე დაკუწული ქათამია
## იპოვე და გაანადგურე

ლოს ანჯელესში გაიმართა სამიდან პირველი პრესკონფერენცია ვიტალი კლიჩკოსა და ჰასიმ რაჰმანის მონაწილეობით. ამ პრესკონფერენციაზე მოკრივეები პირველად წარადგინეს ოფიციალურად, როგორც ერთმანეთის მეტოქეები




**რაჰმანმა** პრესკონფერენციაზე კლიჩკოს ლანგრით მიართვა ნაკუწებად ქცეული ქათამი, რამაც დარბაზი მეტად გაამხიარულა. ვიტალიმ გაღიმებულმა გამოართვა მეტოქეს ლანგარი, მადლობაც გადაუხადა და მერე მიკროფონთან დახრილმა ჰკითხა, ეს ქათამი თავად მოამზადე თუ არაო. როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, ვიტალიმ საათზე დაიხედა და თქვა: „არ ვიცი, რა დავარქვა ამას, კახშამი საუზმე თუ სადილი... მაგრამ მე ვერ ვხედავ დესერტს. ასე რომ, 12 ნოემბერს დესერტის შენთვის მორთმევა თავად მომიწევსო".

ამ კვირაში კლიჩკოსა და რაჰმანს შორის ატლანტიკ სიტიში და ლას ვეგასში კიდევ ორი სახალხო შეხვედრა გაიმართება. ეს შეხვედრები, ეტყობა, ბრძოლასთან მიახლოებულ ატმოსფეროში ჩატარდება. ასეთ ღონისძიებებზე ხომ სხვაგვარად არც შეიძლება. ამ პრესკონფერენციების მიზანი ერთმანეთის შეშინება და საზოგადოებაზე მაქსიმალური ეფექტის მოხდენაა. ეს ძალიან კარგად გამოუვიდა რაჰმანს, როცა ქათამთან დაკავშირებული ოინბაზობა მოიგონა. თუმცა მეტოქეს ხუმრობაზე კლიჩკომაც მახვილგონივრულად გადაუხადა სამაგიერო.

ერთი რამ კი უკვე ნათელია, კლიჩკოსა და რაჰმანის შეხვედრა ლას ვეგასის „THOMAS & MACK CENTER"-ში, რომელიც 12 ნოემბერსაა დანიშნული, ძალზე საინტერესო გამოდგება. მასში უკრაინელი WBC-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაიცავს ამ ტიტულის დროებით მფლობელ ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან ბრძოლაში.

ამ შეხვედრას რაღაც ამდაგვარი სახელი უწოდეს „იპოვე და გაანადგურე!"

საპრომოუთერო კამპანიის მეთაურმა ბობ არუმმა პრესკონფერენციაზე მომავალ შეხვედრას „წლის ბრძოლა" უწოდა.

„მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ბრძოლა, რომელიც ჩატარებამდე რეალურობად იქცა. ამან უდიდესი ინტერესი გამოიწვია როგორც გულშემატკივრებში, ისე კრივის ექსპერტებში. ამ შეხვედრას სამართლიანად უწოდებენ „წლის ბრძოლას" და ამის ჭეშმარიტებაში თავადვე დარწმუნდებით."

კლიჩკოსა და რაჰმანის პირველი შეხვედრა, კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული ექსცესების გარეშე ჩატარდა. ორივე მოკრივე თავიანთი უძლეველობის თაობაზე სტანდარტული ფრაზებით შემოიფარგლა და მხოლოდ რაჰმანმა, რომელსაც „კლდეს" უწოდებენ, თავისი ქათმით გაამრავალფეროვნა ეს ღონისძიება.

რაჰმანი უკვე ახლა იძლევა გარანტიას, რომ 12 ნოემბერს მაყურებელი მისი ტრიუმფის მოწმე გახდება.

„მე ჯერჯერობით WBC ვერსიით დროებით, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ვფლობ, მაგრამ კლიჩკოსთან შეხვედრაში, რაც მეკუთვნის, სრულფასოვნად დავუფლები. მე არასოდეს ვარიდებდი თავს მეტოქეებს და მუდამ მზად ვარ დიდი მოკრივეების წინააღმდეგ რინგზე ასასვლელად, რადგან საკუთარი ძალის დამტკიცება მხოლოდ ძლიერებთან შეიძლება. მე მოუთმენლად ველი ვიტალის წინააღმდეგ რინგზე ასვლას და მის ნოკაუტში ჩაგდებას. დადგა დრო, ყველას დავუმტკიცო, რომ სწორედ მე ვარ სუპერმძიმეწონოსანთა დივიზიონის უძლიერესი მოკრივე" — თქვა ჰასიმ რაჰმანმა.

ვიტალი კლიჩკომ თავისი გამოსვლა მობოდიშებით დაიწყო.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა კრივის მოყვარულებს ბოდიში მოვუხადო ხანგრძლივი პაუზისთვის. რას იზამ, ტრავმები კრივის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ახლა მე 100 პროცენტით მზად ვარ რინგზე დასაბრუნებლად და brწყინვალე ფიზიკური ფორმის დემონსტრირებისთვის. მე ბევრი წავიკითხე რაჰმანის განცხადებების თაობაზე, სადაც იგი ირწმუნება, თითქოს მასთან ბრძოლას თავს ვარიდებდე. მაგრამ ახლა მზად ვარ მასთან შესახვედრად" — თქვა კლიჩკომ.

# გიჟმაჟი მოკრივის გიჟმაჟი ცოლი



**მოკრივეები** ხშირად ცოლის მოსარჯულებლად მეუღლეს ერთი კარგად უბათქუნებენ ხოლმე, მაგრამ ის კი აქამდე არ გვსმენია, რომ პირიქით მომხდარიყოს.

ჰოდა, აი, ამერიკელ ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონს კორი სფინქსს ცოლმა ლამის წირვა გამოუყვანა. ცოლმა, კიმბერლი კელვინმა მას მხარსა და მუცელში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

ეტყობა, სფინქსის ცოლმა გადაწყვიტა, მანამ ქმრისგან მომხვედრია, მე უნდა დავასწროო. ჰოდა, ერთ-ერთი აყალ-მაყალის მერე, მანამ მსოფლიოს ექსჩემპიონი ფიქრობდა, ჩემს ცოლს ჰუკი ვაძგერო, აპერკოტი თუ კიდევ სხვა რამო, ამასობაში კიმბერლიმ რაღაც ბასრ იარაღს დასტაცა ხელი, ქმარს ეკვეთა და „დააშოშმინა".

დაჭრილი მოკრივე საავადმყოფოში გააქანეს, ხოლო მისი ცოლი — სატუსაღოსკენ.

ცოლის წინააღმდეგ ახლა სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მას ვირის აბანო ელის, ქმარს კი მისგან მიყენებული ჭრილობები, როგორც ამბობენ, საკრივო კარიერაში ხელს სულაც არ შეუშლის.

# მომღერალი მიჯნურ მორაგბეს გასრესვით ემუქრება

**ბრიტანელი** ოპერის მომღერალი შარლოტა ჩერჩი იქადნება, რომ ჩემს ბოიფრენდს, ვალიელ მორაგბე ჰევინ ჰენსონს გავსრესავ, თუ იგი „ბოზებთან" ფლირტს გააბამს, რომლებიც მას კისერზე ეკიდებიანო.

19 წლის ჩერჩი ამბობს, რომ ვერაფრით იტანს იმ შემთხვევებს, როცა „რაგბის ვარსკვლავს" უცხო ქალები დიდ ყურადღებას უთმობენ.

„ლამის გავცოფდე, როცა ეს გოგოები ჩემს ბიჭს თვალს ადგამენ. ეს უბრალოდ მიუღებელია, როცა ისინი ჩემი თანდასწრებით ფლირტს აბამენ. ასეთ დროს მე მათ ვეუბნები, აქედან დაიკარგეთ-მეთქი. მაგრამ სულ მთლად ვგიჟდები, როცა იმაზე ვფიქრობ, რომ ჰენსონსაც შეუძლია ჩემს ზურგს უკან ქალებთან ფლირტის გაბმა. ეს რომ მან მართლაც გააკეთოს და გავიგო, მე მას გავსრეს და გავანადგურებ" — ასე ბობოქრობს შარლოტა ჩერჩი.



შარლოტა ჩერჩი

შარლოტას მამამ ჯეიმსმა სასიძო თავისი ბარიდან გააძევა მას მერე, რაც მათ იკამათეს. სასიამამრომ თქვა, რომ მორაგბე მთლად თავის ჭკუაზე ვერ იყო, საკმაოდ შეზარხოშებული თავხედურად იქცეოდაო.

ჩვენი ბრიტანელი კოლეგები წერენ, რომ სასიმამროს სპორტსმენისთვის უთქვამს, გამოცალე ეგ შენი სასმელი და აქედან დაიკარგეო. თუმცა, რამდენიმე საათის მერე ჰენსონი ბარში დაბრუნდა და მამა-შვილ ჩერჩებს ბოდიში მოუხადა. შარლოტამაც მიიღო ბოდიში.

აბა, რა იქნებოდა, როცა შეყვარებულები ამბობენ, ერთმანეთთან ერთი წუთითაც არ შეგვიძლია ყოფნა და ქორწილზეც ვფიქრობთო.

# მოურჯულებელი როდმანი

**კოლორადოს** შტატის მოსამართლე კრის იუჰასმა ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავის დენის როდმანის დაპატიმრების თაობაზე ორდერი გამოწერა. ასეთ უკიდურეს გადაწყვეტილებამდე კრის იუჰასი მიიყვანა სასამართლოს სხდომისადმი როდმანის ორგზის იგნორირებამ, რაც დაკავშირებული იყო მის მიერ საგზაო წესების დარღვევასთან.

სპორტსმენის აგენტმა დარენ პრინსმა ხელისუფლების გადაწყვეტილებას „გაუგებრობა" უწოდა. არადა, დენის როდმანი მეტად სკანდალური და ოდიოზური ფიგურაა. მისი სახელი ნაირგვარ სკანდალებთან დაკავშირებით არაერთხელ მოხვედრილა პრესის ფურცლებზე თუ ტელეეკრანზე. მას მერე, რაც როდმანმა კალათბურთელის კარიერა მიატოვა, პოლიცია ასჯერ გახდა იძულებული, რომ მისთვის შინ მიეკითხა და დაეშოშმინებინა.

უფრო ხშირად როდმანი ხმაურიან სალამოებს აწყობდა და მეზობლებს მოსვენებას უკარგავდა. მერე კი ამის გამო სასამართლოებში უწევდა წანწალი.

ამას გარდა, როდმანი მუდამ სადღაც მიიჩქარის და მოძრაობის წესებს არღვევს ხან კატარღით, ხან მოტოციკლეტით და, რა თქმა უნდა, ავტომობილით. ამას წინათ როდმანი სანაპიროს დაცვის წარმომადგენლებმა კალიფორნიაში დააკავეს, როცა იგი ერთი კარგად გამომთვრალი 47-ფუტიან ნავს გიჟური სისწრაფით მართავდა, რამაც დაშვებულ ნორმას ოთხჯერ გადააჭარბა. ამის მერე ახლა უკვე ქალაქ ფრისკში თავისი ავტომობილი საათში 157 კილომეტრი სიჩქარით გააქროლა, რისთვისაც, რაღა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მოუწია სასამართლოში წანწალი.

# ეგვიპტელთა ტრაგედია

**ეგვიპტის** ახალგაზრდა კალათბურთელთა ნაკრების წევრები, რომლებიც ქვეყნის სამხრეთით მიკროავტობუსით მიემგზავრებოდნენ, შემხვედრ საბარგო ავტომობილს შეასკდნენ, რის შედეგადაც 4 კაცი დაიღუპა — 3 კალათბურთელი და გუნდის მწვრთნელი. კიდევ თერთმეტმა სპორტსმენმა სხვადასხვა სახის ტრავმა მიიღო, რომლებიც ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ამ ქვეყნის სპორტსმენთა ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედია დატრიალდა გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა მათი წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

# თურქეთი გაიდირკა

**გერმანია 66:57 თურქეთი**
14:15 13:19 21:12 18:11

გერმანია: ნოვიცკი (33 ქულა, 10 მოხსნა, 3 დაფარება), როლერი (9), დემირელი (7),
თურქეთი: პეკერი (14), ერდოგანი (11), ქურთოღლუ (11)

**ხორვატია 74:66 იტალია**
16:19 24:12 15:21 19:14

ხორვატია: კაშუნი (20), ვუიჩიჩი (16), პოპოვიჩი (12)
იტალია: კალაბრია (14), კიაჩიგი (14), პოცეკო (14)

**საბერძნეთი 67:61 ისრაელი**

**სერბეთი 71:74 საფრანგეთი**

**მეოთხედფინალში შეხვდებიან:**

22 სექტემბერი

**რუსეთი — საბერძნეთი**

**ლიტვა — საფრანგეთი**

23 სექტემბერი

**სლოვენია — გერმანია**

**ესპანეთი — ხორვატია**

**დირკ ნოვიცკი** მაიკლ ჯორდანი არაა, მაგრამ მასსავით კი შეუძლია მთლიანი გუნდის აკიდება და გამარჯვებამდე მიყვანა. გერმანიას რომ პლეი ოფში გადასასვლელი მატჩის თამაშის უფლება მიეცა, პრაქტიკულად ეს პირადად ნოვიცკის დამსახურება გახლდათ და წუხელ ამ ქერათმიანმა სუპერვარსკვლავმა თავისიანები მეოთხედფინალშიც გააძვრინა.

იმაში, რომ ნოვიცკიმ გერმანელებს მარტოდმარტო გაამარჯვებინა, გადამეტებული არაფერია. თავად განსაჯეთ: დალასელმა 33 ქულა მოიხვეჭა, როცა გერმანელთა მეორე საუკეთესო მექულეს მხოლოდ 9 ქულა დაუგროვდა. ნოვიცკი გახლდათ სულისჩამდგმელი იმ გაქცევისა, რომელიც გერმანელებმა მესამე მეოთხედში მოაწყვეს. თურქეთი 38:29 იგებდა, მაგრამ დირკმა მიჯრით 13 ქულა მიითვალა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ თავისიანები 48:46 დააწინაურა.

თურქებსაც ჰყავთ ნბა-ში სახელმოხვეჭილი მოთამაშეები, მაგრამ ვერც ჰიდაიეთ თურქოღლუ და ვერც მეჰმედ ოქური ახლოსაც ვერ გაეკარნენ ციბრუტივით მოტრიალე ნოვიცკის. ოსმალოებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ გუნდური თამაშის წყალობით პირველ ტაიმში აშკარად დაჯაბნეს გერმანელები. მერე კი... მერე ნოვიცკიმ აიწყვიტა და...

თითქმის ასე იყო გერმანიის საქმე 2002 წლის ინდიანაპოლისურ მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა ნოვიცკიმ გერმანია ნახევარფინალამდე მიათრია და მეტი ვეღარ შეძლო. საინტერესოა, ახლა სადამდე გაათრევს თავისიანებს ქერათმიანი სუპერვარსკვლავი. მეოთხედფინალში გერმანიას სლოვენია ეტაკება, რომელსაც ძალიან კარგი და ძალიან მაღალი მეფარეები ჰყავს.

საინტერესო ჯახაჯუხი იქნება...

წინა ევროჩემპიონატის ბრინჯაოსანი იტალია ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. აპენინელებს ახალგაზრდა ხორვატებმა გადაუწურეს იმედი და მეოთხედფინალში გავიდნენ.

იტალიამ მაშინ აიხადა ნიღაბი, როცა ჯგუფურ ეტაპზე რუსეთთან 26 ქულით წააგო. ამის შემდეგ ბრინჯაოს პრიზიორთაგან დიდ მიღწევას არავინ ელოდა და აკი გამართლდა კიდეც ვარაუდი.

ხორვატიამ ფარქვეშ ყველანაირად დაჩაგრა მეტოქე. მოხსნებში — 40:22. მოუგო, ხოლო სამწამიანიდან მოხვეჭილ ქულებში 48:28,

იტალიელებს სამქულიანების იმედი ჰქონდათ, მაგრამ რაც თავიდან გამოუვიდა ჯანლუკა ბაზილეს, მერე ვეღარაფრით მოახერხა იგივეს გაკეთება. მისი სამიანებით იტალიელები თავიდანვე დაწინაურდნენ და პირველი მეოთხედი მოიგეს კიდეც — 19:16.

სამაგიეროდ მეორე ათწუთეულში დაიჩაგრა იტალია. ხორვატელებს გამოადგათ ნბა-ში ახლახან ფეხადგმული მარიო კაშუნი, ვინაც არც მოხსნაში ახარებდა მეტოქეს და ქულებითაც ხომ ყველაზე მეტი ჩააგდო.

პირველი ტაიმის ბოლო 3 წუთი ხორვატიამ 10:0 მოიგო და დიდ შესვენებაზე ცხრაქულიანი ლიდერობით გავიდა.

მერე და მერე იტალია ბევრს ეცადა, მაგრამ ხორვატთა გაუვალ დაცვას ვერაფერი მოუხერხა და ბალკანელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

**ირაკლი პერტაია**



AFP ფოტო

თურქეთთან შეხვედრაში დირკ ნოვიცკი უბადლოიყო



## საქართველოს XVI ჩემპიონატი

თბილისი. ასა-ს დარბაზი
პირველი წრე. 20 სექტემბერი

**სტუ-შევარდენი 43:33 თელავი**

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე (1), წიეწივაძე (21), კობახიძე (6), ჩუბინაშვილი (5), ტალახაძე (4), ქუთათელაძე (3), ნადირაძე (2), ჯიშკარიანი (1), ამირან ყიფიანი, ომარ ყიფიანი, ცოტაძე
**თელავი:** ბადურაშვილი, ამბარდანიშვილი, გიორგელაშვილი (14), მეტრეველი (9), სვიმონიშვილი (4), ჩიკვაიძე (3), ხარებაშვილი (2), მამულაშვილი (1), იაგორაშვილი, ხატიაშვილი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**ქარიშხალა 27:20 ხ/კ თბილისი**

**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, მსხვილიძე (გაიტანა 11 გოლი), ბერძენიშვილი (7), მელქოშვილი (3), სიგუა (2), გოგალაძე (2), ჯორბენაძე (2), გიორგი ჩიქოვანი, ირაკლი ჩიქოვანი, ირაკლი ტორონჯაძე, ზაალიშვილი, საჯაია, ამირანაშვილი
**ხ/კ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი, სამარღანიშვილი (11), ქირია (3), ნატროშვილი (2), ფორაქიშვილი (1), გრიშიკაშვილი (1), ღაღანიძე (1), ქლენტი (1), გელა არაბული, ქარდავა, სულიკაშვილი, მამასახლისი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

# თუ სულ გუშინდელივით ითამაშებენ...

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოს უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენს" ძალიან გაუჭირდება წლეულს გაზაფხულზე ზედიზედ მეთხუთმეტედ მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება. მიზეზი მარტო ტექნიკოსთა საგრძნობი დასუსტება არ არის, მათ ხომ ოთხი წამყვანი მოთამაშე გაუშვეს უცხოეთში კარიერის გასაგრძელებლად — მთავარმეგოლე ვლადიმერ რუსია, ალექსანდრე ბუაჩიძე, გიორგი ქობელაშვილი და მამია კობახიძე.

თუმც იმავდროულად შევსებაც მიიღეს, უპირველესად „მამულიდან" გადმოსულ გიორგი წივწივაძის, აგრეთვე ბაკურ ცოტაძის, გიორგი კობახიძის და ვახტანგ ჯიშკარიანის სახით, არანაკლებ გაძლიერდნენ შევარდენელთა კონკურენტები, განსაკუთრებით კი ვიცე-ჩემპიონი „ხელბურთის კლუბი თბილისი", რომელმაც ერთი სრული შემადგენლობა — შვიდი მოთამაშე შეიმატა სხვა გუნდებიდან.

„თბილისი" ჩემპიონ შევარდნელთა უპირველეს მეტოქედ კი რჩება, მაგრამ ამხელა მატების მიუხედავად (ბუნებრივია, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ გუნდი საუცხოური კარიერის გამო დატოვეს მეკარე არჩილ გარიშვილმა და ბომბარდირმა ლევან გელაშვილმა), მის წევრებს ჯერჯერობით შეთამაშება აკლიათ, რაც აშკარად გამოჩნდა გუშინ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალასთან" შეხვედრაში.

ეს მატჩი ჯერჯერობით ჩემპიონატის ყოველმხრივ მშვენებაა — უდაძაბულესი, ლამაზი და პრინციპულ-ემოციური დაპირისპირებით. ერთი სიტყვით, ისეთი თამაში გამოვიდა, ყველანი რომ ვისურვებდით, გვიმრავლოსო.

და ჩვენც ამ იმედით ვულოცავთ „ქარიშხალას" მართლაც რომ ქარიშხალურ ტემპში მოპოვებულ გამარჯვებას.

ბრძოლა თავიდან თანაბარი იყო — პირველ ტაიმში ანგარიში რვაჯერ გათანაბრდა, შესვენებაზე კი ცერცვაძელები ორგოლიანი სხვაობით წავიდნენ — 14:2. მეორე ტაიმში მათი უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა. დაცვაში ბრწყინვალედ მოქმედებდა ორმეტრიანების — ირაკლი სიგუასა და რატი მსხვილიძის ბლოკი, ხოლო ჩქაროსნული გარღვევებისას შეუდარებელი იყო ლევან ბერძენიშვილი. ლევანმა თავის გუნდისთვის კრიტიკულ ვითარებაში ორი-სამი ისეთი გოლი გაიტანა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ერთი სიტყვით, ბექა ორჯონიკიძის ბიჭებმა იქნებ სადღესიოდ სენსაციური, თუმც დამაჯერებელ-დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს და საჩემპიონოდ მებრძოლთა რიგში ჩადგნენ.



შევარდნელი გიორგი ნადირაძე თელაველთა კარის მორიგი შეტევისას

და ისევ „ქუთაისი". საწყენია, რომ ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, წინა ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ამჟამინდელი შემადგენლობიდან მოიკვეთა ფინანსური პრობლემების გამო, მაგრამ ბიჭებმა რა დაამტკიცეს და მეტ-ნაკლები გამოსავალიც გამონახა. გუნდის კაპიტანი დავით გობეჯიშვილი ღირსეებით „მამულში" თამაშობს და დებიუტი ორი გოლითაც აღნიშნა. მასთან ერთად ქ-ნება მეკარე დავით ხინგავაც, ხოლო მეგოლე ეროსი მამასახლისი სეზონის ბოლომდე „თბილისისთვის" გაიქნევს ხელს.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 2 | 0 | 0 | 78:52 | 4 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 0 | 27:24 | 2 |
| ქარიშხალა | 1 | 0 | 1 | 46:55 | 2 |
| ხ/კ თბილისი | 0 | 0 | 1 | 20:27 | 0 |
| თელავი | 0 | 0 | 2 | 57:70 | 0 |




AFP ნიუ ორლეანიდან

# ნიუ ორლეანმა დაიწყო

ქალაქი აღარ არის, მაგრამ „ნიუ ორლეანს სეინტსის" მობურთალთა გუნდი სეზონს იწყებს. მეტოქე „ნიუ იორკ ჯაიანტსია", თამაში კი ისტ რეზერფორდში იმართება. აქ არიან ჯორჯ ბუში უფროსი და ტანჯული ქალაქის სუპერინტენდანტი ედი კამპოსი, რომლებიც „არიოლ-რეშკაში" მონაწილეობენ. ჩირლიდერ გოგონებს კი ასეთი წარწერა გამოუტანიათ: ნიუ იორკის მხარეს ვართ, მაგრამ ნიუ ორლეანზე ვლოცულობთ.




AFP ნიუ ორლეანიდან



AFP ვაშინგტონიდან

# მზადების დროს

მეგოლფე სკოტ ვერფლაკს ისე მოუხერხებია, რომ თან ტელეფონზე ულაპარაკია და თან ბურთიც ჩაუგდია. თუმცა ეს მხოლოდ ვარჯიშია: ვერფლაკი ამერიკის გუნდის წევრია და პრეზიდენტის თასისთვის ემზადება.




AFP ტოკიოდან

# წაუგებელი

უმსუბუქესი წონის საჩემპიონო ბრძოლა ტოკიოში: იქაური ტაკეფუმი საკატა ვერაფერს გახდა ასოციაციის (ვბა) წაუგებელ ჩემპიონ, ვენესუელელ ლორენცო პარასთან (მარცხნივ).

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, გიგა ინასარიძე, ილია ნახირიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულაძე, ...გიორგი ლარცანია, გიორგი გაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხაჭაპურიძე, ...

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლიაურიძე, ...
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge